ISSN 1987-5355

#54
2015
August,
September,
October

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN



სტილი
არქიტექტურა
ინტერიერი
დიზაინი


JUNG
"ჭკვიანი" სახლი




**Meteora Srl**
50021 Barberino Val D'Elsa (FI) Italy
info@meteora-tracce.com - sales@meteora-tracce.com www.
meteora-tracce.com

GRUPPO DIMA

Export office
Perignano (PI) Italy
gruppodima@gruppodima.it

AAG

Association of Architects of Georgia

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

**www.archias.ge**

**გამომცემელი** - **საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია** და დიმიტრი მოსულიშვილი

**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე

**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, დიმიტრი გელოვანი.

**თარგმანი** - ნატა კურტანიძე

**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე

**რეკლამა** - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ეკა ჯავახიშვილი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** & Dimitri Mosulishvili

**EDITOR -** Nino Laghidze

**INFORMATION -** Nino Laghidze, Dimitri Gelovani.

**TRANSLATION -** Nata Kurtanidze

**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze

**ADVERTISEMENT -** STYLE Ltd. Director Eka Javakhishvili

0186 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #70ა

მობ: 593 42-74-73; 599 10-56-03; 558 28-29-30

70a Vaja-Pshavela ave, 0186 Tbilisi, Georgia.

Mob: (+995) 593 42-74-73; (+995) 599 10-56-03; (+995) 558 28-29-30

http://www.archias.ge

http://www.archiaward.com

E-mail: laghidze.n@gmail.com

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია და ჟურნალი "სტილი" აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ჟურნალის რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!

# meteora

In its latest collection Meteora, one of the most prominent Italian interior design brands, daringly accepted this challenge, covering living spaces with fabrics and sophisticated finishes.

This is enhanced by roses hand-carved which, with their strong and complex symbolism, contribute to this feeling of vitality with a flow of positive and comforting energy.

However, in order not to disconcert the colour chart with an excessive exuberance of gold, Meteora's designers have set it against the clean brightness of white and neutral tones, thus creating a balanced environment that is still luxurious, glamorous and extremely stimulating."










**Meteora Srl**
50021 Barberino Val D'Elsa (FI) Italy
Tel. +39-055-8078493 - Fax +39-055-8078495
info@meteora-tracco.com - sales@meteora-tracco.com www.meteora-tracco.com

GRUPPO DIMA

Export office
56035 Perignano (PI) Italy
Tel. +39 0587 618200
gruppodima@gruppodima.it


www.archias.ge
AAG
STYLE
STYLE
www.archias.ge
593 427 473


Alpina
ბავშვის ოთახის სადებავი
ეს მნიშვნელოვანია!

არქიტექტურის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი

Fourth International Architectural Festival



# არქიტექტურული პრემია 2015

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის ეგიდით", არქიტექტორთა კლუბის" და ჟურნალი STYLE-ს მხარდაჭერით 2015 წლის 17-18 ოქტომბერს ტარდება არქიტექტურის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი

ფესტივალის მიზანია საუკეთესო პროექტე-ბის წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის, მშენებლობის და დიზაინის სფეროებში.

**არქიტექტურის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ტარდება მეცხრე საერთაშორისო არქიტექტურული კონკურ-სი "არქიტექტურული პრემია 2015"**

**2015 წლის 17 ოქტომბერს:**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 17:00 საათზე გაიმართება მე-10-ე საერთაშორისო კონკურსში - "არქიტექტურული პრემია 2015" გამოვლენილი საუკეთესო არქიტექტუ-რული და დიზაინერული ნამუშევრების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

საერთაშორისო კონკურსი "არქიტექტუ-რული პრემია 2015" საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცის, შენობების, ინტერიერის და დიზაინის სფეროს მოიცავს.

საერთაშორისო კონკურსი 2006 წლიდან ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის (http://www.archiaward.com/)

საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის განიხილება რეალიზე-ბული და სარეალიზაციო პროექტები.

საერთაშორისო კონკურსზე ნამუშევრები შეფასდება შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (რეალიზებული)
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი (რეალიზებული)
- საცხოვრებელი ინტერიერი (რეალიზებუ-ლი)
- საზოგადოებრივი ნაგებობა (რეალიზებუ-ლი)
- საზოგადოებრივი ინტერიერი (რეალიზე-ბული)
- რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (რეალ-იზებული)
- საპარკო არქიტექტურა (რეალიზებული)
- სტუდენტური პროექტი
- არქიტექტურული პროექტები
- ქალაქგეგმარებითი პროექტი

საკონკურსო ნამუშევრების მიღება დაწყებუ-ლია 5 ივნისიდან. ნამუშევრების ატვირთვა მიმდინარეობს 1 ოქტომბრამდე ვებ-გვერდზე http://www.archiaward.com

დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით
ტელ.: +995 593 427 473
ელ-ფოსტა: laghidze.n@gmail.com

mob.: +995 593 42-74-73; E-mail: laghidze.n@gmail.com
www.archias.ge




სარეკლამო გვერდი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი

# თბილისი 2015

**კონკურსის შესახებ**

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს: ლიტერატურის, ფერწერის, არქიტექტურის, სკულპტურის, სიმღერის და ფოტოგრაფიის დარგში მოღვაწე შემოქმედთა აქტივობას, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენას, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დანერგვას, რისთვისაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, შეუძლია მასში მონაწილეობა.

კონკურსში განიხილება ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი/გამოცემული საავტორო ნაწარმოების პირველადი (გადაუმუშავებელი) ვერსია.

კონკურსანტს შეუძლია თითო ნომინაციაში მხოლოდ ერთი ნაწარმოების წარმოდგენა.

პროზის, პოეზიისა და ესეს ქართულენოვანი ვერსია მიიღება ელექტრონული ან ბეჭდური სახით.

სიმღერის, ნახატის, ქანდაკების, ფოტოს, არქიტექტურული ნამუშევრის წარმოდგენა შესაძლებელია გამოხატვის ნებისმიერი ფორმითა და ხერხით. (MP3, CD, JPG, PDF ვერსია და სხვა...)

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოები არ უნდა იყოს რომელიმე ენიდან თარგმნილი ნაწარმოები.

კონკურსის მონაწილე, საკონკურსო ნაწარმოების გამოგზავნიდან სამი დღის განმავლობაში, პირად ელექტრონულ მისამართზე ადმინისტრაციისგან მიიღებს შეტყობინებას - მასალების სრულყოფილად მიღების ან ხარვეზების გასწორების მოთხოვნის შესახებ.

კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**კონკურსზე რეგისტრაციის პირობები**

სავალდებულოა შეივსოს სააპლიკაციო ფორმა (საკონკურსო განაცხადი), სადაც მიეთითება ავტორის პერსონალური მონაცემები, გვარი, სახელი, ფსევდონიმი, ნაწარმოების დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

თანდართულ კითხვარში ავტორი ვალდებულია მიუთითოს ნამდვილი გვარ-სახელი, ხოლო სპეციალურ გრაფაში მიანიშნოს ფსევდონიმით მონაწილეობის მოთხოვნის შესახებ.

კონკურსის ადმინისტრაცია კისრულობს ვალდებულებას, რომ ავტორის ნებართვის გარეშე მის გვარ-სახელს, არც ერთ ეტაპზე, არ გაასაჯაროებს (საკონკურსო პერიოდში, შედეგების გამოცხადებისას ან პუბლიკაციის შემთხვევაში).

ნამუშევრების წარდგენის ალტერნატიული მისამართია: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2.

საკონკურსო ნაწარმოებების მიღების ვადაა: 20.07.2015 - 10.09.2015

სამუშაო დღეებში განაცხადები მიიღება: 09:00-დან - 18:00-მდე.

საკონკურსო ნაწარმოები, სააპლიკაციო ფორმა და კონკურსთან დაკავშირებული კითხვარები გამოაგზავნეთ ერთ წერილად: konkursitbilisi@tbsakrebulo.gov.ge

საკონტაქტო პირი: ნატო აბრამაშვილი; ტელ: 555-459-643

**საკონკურსო ნომინაცია, პრემია**

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო ესე („ჩემი თბილისი“ - სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის);
- წლის საუკეთესო სიმღერა;
- წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო ქანდაკება;
- წლის საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები;
- და ჟიურის სპეციალური პრიზი.

გამარჯვებულებს გადაეცემათ კონკურსის პრიზი და ერთჯერადი ფულადი პრემია - 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი.

**კონკურსის ჩატარების ეტაპები**

I ეტაპი (20 ივლისი -10 სექტემბერი) - კონკურსის გამოცხადება, განაცხადების შევსება და საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა;

II ეტაპი (11 სექტემბერი - 25 სექტემბერი) - ჟიურის მიერ ნამუშევრების გაცნობა და შეფასება;

III ეტაპი (30 სექტემბერი) - გამარჯვებულების გამოვლენა;

IV ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება „თბილისობის“ ღონისძიების ფარგლებში.

**ჟიურის შემადგენლობა, მუშაობის სპეციფიკა**

კონკურსის ჩატარების, ნამუშევრების შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით იქმნება 7 წევრისგან შემდგარი ჟიური, რომელთა ვინაობა - კონკურსის დასრულებამდე - ანონიმურია.

ჟიურის წევრთა კანდიდატებს ყოველწლიურად, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

კონკურსის ჟიურის მუშაობას ხელმძღვანელობს ჟიურის თავმჯდომარე, რომელსაც ყოველწლიურად, ხმათა უმრავლესობით, ირჩევენ ჟიურის წევრები.

ჟიურის თავმჯდომარეს და ჟიურის წევრებს აქვთ თითო ხმის უფლება;

ჟიურის წევრები ინდივიდუალურად ეცნობიან კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს, აფასებენ, არჩევენ და ავლენენ საუკეთესო ნაწარმოებებს.

ჟიურის სახელმძღვანელო კრიტერიუმებია: პროფესიონალიზმი, სახელოვნებო ოსტატობა, სალიტერატურო ფორმებისა და მხატვრული ხერხების ფლობა, ნაწარმოების ესთეტიკური მხარე, თბილისისთვის საინტერესო და აქტუალური თემების დამუშავება და ინოვაციური აზროვნება.

ჟიურის მხრიდან პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალა მოიხსნება კონკურსიდან, ხოლო ავტორი ორი წლის განმავლობაში დაკარგავს განმეორებით მონაწილეობის უფლებას.

http://tbsakrebulo.gov.ge



შპს „ლთბ“
ავეჯის მასალების კომპანია
tel: 266 61 71 61/62/63
ltb@ltb.ge, hotline@ltb.ge
www.facebook.com/furnitura
LTB
www.ltb.ge

# ავეჯის მასალების კომპანია "ლთბ"



შპს „ლთბ“ ავეჯის მასალების ყველაზე მსხვილი იმპორტიორია საქართველოში, რომელიც დაფუძნდა 2004 წელს მცირე კომპანიის სახით. მის ზრდასთან ერთად მომატა დასაქმებულთა რაოდენობამ და დღეს ორგანიზაციაში მუშაობს 120 ადამიანი.

კომპანიის განვითარების შემდგომი ეტაპისთვის საჭირო გახდა მმართველობაში ძირეული ცვლილებების შეტანა. 2013-2014 წლებში წამყვან საკონსულტაციო კომპანია სინერჯი ჯგუფთან ერთობლივი მუშაობის შედეგად კომპანიამ შეცვალა სტრუქტურა და მართვის ახალ მოდელზე გადავიდა. დღეს „ლთბ“ წრიული ორგანიზაციული სტრუქტურით მუშაობს და მას დირექტორთა საბჭო მართავს. ეს საშუალებას აძლევს კომპანიას იყოს უფრო მოქნილი და ხელს უწყობს თანამშრომლების უნარების და შესაძლებლობების მაქსიმალურ თვითრეალიზაციას. ასევე სხვადასხვა ცნობილ საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად განხორციელდა შიდა პროცესების აღწერის და განახლების, ERP პროგრამის დანერგვის პროექტები.

**კომპანიის მისიაა საქართველოში ხარისხიანი ავეჯის წარმოების ხელშეწყობა.**

საგადასახადო ბრუნვის მაღალი მაჩვენებლის წყალობით, კომპანია შესულია იმპორტიორთა ოქროს სიაში, რაც უადვილებს მას იმპორტის და განბაჟების პროცესებს.



კომპანია წარმოადგენს ისეთი მსოფლიო ბრენდების ექსკლუზიურ წარმომადგენელს საქართველოში როგორებიცაა: Julius Blum, Cleaf, Egger, Pöttker, Bortoluzzi, Vonsild, Roma, Bostetti Marella, Samet და მრავალი სხვა, რაც ქართველ მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას შეიქმნას მისთვის სასურველი დიზაინის, ხარისხის და ფუნქციონალურად ეფექტური ავეჯი.

შპს „ლთბ“ მდებარეობს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში, თ.ერისთავის N2-ში (მ. დიდუბის ზედა მხარე), ფლობს 15000 მ2 დახურულ ტერიტორიას, რომლის უდიდესი ნაწილი დატვირთულია საწყობებითა და სადემონსტრაციო დარბაზებით, გააჩნია საკუთარი ავტოსადგომი.



კომპანია ფლობს მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი დანადგარების მსხვილ პარკს და თავის მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ხარისხიან მომსახურებას. ამის წყალობით, მის კლიენტთა სიაში, გარდა მსხვილი მწარმოებლებისა, შედიან დიზაინერები, ხელოსნები და სხვა მცირე მეწარმეები.

კომპანია ორიენტირებულია სიახლეების შემოტანაზე, ინოვაციების დანერგვაზე, სხვადასხვა ხარისხიანი მომსახურების შემოთავაზებითა და კლიენტების სწავლებით საქართველოში ხარისხიანი ავეჯის წარმოების განვითარების ხელშეწყობაზე.

LTB
www.ltb.ge




**ავსტრიული ფურნიტურის მწარმოებელი კომპანია Julius Blum (www.blum.com)** დაარსდა 1952 წელს. ის არის ლიდერი ავეჯის ფურნიტურის სფეროში და სწორედ მისი წარმოების ფურნიტურა ქმნის ავეჯის ღირებულებას, რადგან უზრუნველყოფს კომფორტულ და უვადო გამოყენებას. დიახ, უვადოს, რადგან Julius Blum-ის პროდუქციის გარანტიის დრო სწორი მონტაჟის შემთხვევაში შეზღუდული არ არის.




კომპანია აქტიურად მუშაობს ტექნოლოგიების განახლებაზე; ახალი პროდუქციის შექმნაზე; მონტაჟის გაადვილებაზე. Julius Blum-ის სრული ასორტიმენტი წარმოადგენს დაპატენტებულ პროდუქციას, რომლის ღირებულებას და მომგებიანობას გრძნობს მასთან შეხებაში მყოფი ყველა რგოლი - წარმოებისას მწარმოებელი, გაყიდვისას გამყიდველი, მონტაჟისას ხელოსანი და რაც მთავარია - გამოყენებისას დიასახლისი.

კომპანიას აქვს საკუთარი სასწავლო ცენტრი, რომლითაც სარგებლობენ Julius Blum-ის წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში (მათ შორის შპს „ლთბ“); გამოსცემს ჟურნალს, რომელიც ასევე ვრცელდება მსოფლიო მასშტაბით. გარდა სიახლეებისა ტექნოლოგიების კუთხით, Julius Blum-მა აქტიურად იმუშავა სამზარეულოს სივრცის ეფექტური დაგეგმარების კონცეფციაზე. კონცეფცია Dynamic Space უზრუნველყოფს სამზარეულოში დახარჯული დროის მინიმუმამდე დაყვანას და სისუფთავის ადვილ შენარჩუნებას.




როგორ?! Dynamic Space სრულ კონცეფციას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ, თუმცა დღეს პირველი მინიშნების გაკეთება უკვე შეგვიძლია - სამზარეულოს ზონების სწორი განლაგება!



დიზაინერების ხელშეწყობის მიზნით კომპანია Julius Blum-მა შეიმუშავა Dynamic Space Case რომელიც წარმოადგენს პორტატულ ჩემოდანს. მისი წყალობით შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას კლიენტისთვის სივრცის დაგეგმარების ჩვენება. Dynamic Space Case უკვე გაყიდვაშია შპს „ლთბ“-ში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ შპს „ლთბ“-ს მაღალი სეგმენტის განყოფილებას მისამართზე:**
**თ. ერისთავი N2, ტელ: 591 51 61 28.**

LTB
www.ltb.ge


BakuBuild
Welcome to Caspian leading international construction exhibition
21 – 24 October 2015
Baku Expo Center, Azerbaijan
www.bakubuild.az
BakuBuild




# ლაბორატორია

## ჩემი სახლი

დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
ი. ჭავჭავაძის გამზ. 37 ლ (სავაჭრო-გასართობი ცენტრი „პიქსელი“, მე-2 სართული)
ც. დადიანის ქ. 7 (სც „ქარვასლა“, G სართული)
შერიფ ხიმშიაშვილის ქ. 37, ბათუმი

WWW.ICR.GE ICRCORPORATION LABORATORYMYHOME

სარეკლამო



ჩემი სახლი

ლაბორატორია
ჩემი სახლი

# საგაზაფხულო შეთავაზება მაღაზიებში „ჩემი სახლი" და „ლაბორატორია ჩემი სახლი"

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 70% [illegible] 30% [illegible]

- [illegible]
- [illegible]
- [illegible]

[illegible] +995 32 2534000
[illegible] marketing@icr.ge

[illegible]






WWW.ICR.GE ICRCORPORATION AVEJISSAXLICHEMISAXLI LABORATORYMYHOME

# STYLE

სარეკლამო კომპანია



ქ. თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. №70ა
style_inbox@mail.ru
558 28-29-30




დ.აღმაშენებლის ხეივანი 38
ტელ.: +995 322 24 18 81
მობ.: +995 595 55 09 41
info@kare-tbilisi.ge
www.kare-tbilisi.ge

KARE DESIGN

# KARE Design

## კონკურსი: ყველაფერი გარდა ჩვეულებრივისა!

**კონკურსი „კარე - ყველაფერი გარდა ჩვეულებრივისა“ გამარჯვებული გამოვლენილია**

KARE Design არა მხოლოდ მრავალფეროვან და გლამურულ პროდუქციას წარმოადგენს საქართველოში, არამედ წარმატებით მონაწილეობს დამწყები ქართველი დიზაინერების განვითარებაში. დიზაინერებისთვის სპეციალური მასტერკლასის ორგანიზების შემდეგ, KARE Design-ის მორიგი ღინისძიება - სტუდენტური კონკურსი, შედგა სტუ-ს არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანისტიკის ფაკულტეტთან თანამშრომლობით.



კონკურსი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა, რომლებშიც სტუდენტებს უნდა შემოეთავაზებინათ საკუთარი ინტერიერის იდეები KARE-ს პროდუქციის გამოყენებით: ჩანახატის დახატვა და 3D პროექტი. კონკურსზე წამოსული უამრავი იდეიდან, ფინალურ სტადიაზე გადავიდა ათი სტუდენტი, რომელთაც მოუწიათ საკუთარი იდეის უპირატესობის დაცვა ჟიურის შვიდ წევრთან. გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები KARE Design-გან. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების მოტივაციის მიზნით, ფინალისტების ნამუშევრები წარმოდგენილია KARE Design-ის შოურუმში.

KARE-ს დირექტორის ჯამილა ომაროვას განცხადებით, მომავალში ბევრი საინტერესო ღინისძიება იგეგმება; ასევე, უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით სტუდენტ დიზაინერებს საკუთარი თავის წარმოჩენის შესაძლებლობას ვაძლევთ. KARE Design დაინტერესებულია და მუდამ ჩართული იქნება ქართველი დიზაინერების განვითარებისთვის დაგეგმილ ღინისძიებებში. მოხარული ვიქნებით, საქართველოში დიზაინის განვითარების სფეროში საკუთარი წვლილის შეტანით.

თვალი ადევნეთ KARE.Tbilisi-ს FB გვერდს და დაელოდეთ მომდევნო კონკურსებს.





# KARE Design

## მიუნხენიდან თბილისში

**ზაფხულის ახალი კოლექცია KARE Design-ის თბილისის ოფიციალურ მაღაზიაში**



KARE Design გეპატიჟებათ ავეჯისა და აქსესუარების ახალ საზაფხულო კოლექციაზე. თქვენ შეხვდებით მერლინ მონროსა და ბობ მარლის 3D სურათებს, ელეგანტურ სარკეებს და რა თქმა უნდა უამრავ დახვეწილ ავეჯის მოდელს გერმანიიდან. თქვენი ოთახის დიზაინი შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეცვალოს თუნდაც ერთმა დეტალმა; LED განათებამ, მოდურმა დივანმა ან თუნდაც KARE-ს სტილის დეკორატიულმა ბალიშმა. KARE Design, რომელიც მზადდება თქვენთვის გერმანიაში, შექმნის ზღაპრულ ინტერიერს თქვენს სახლში. საკმარისია ერთხელ ესტუმროთ KARE Design-ის მაღაზიას თბილისში და მაშინვე მიხვდებით, თუ რას ვგულისხმობთ.

ძალიან ადვილია საკუთარი სტილი შექმნა, როდესაც ქალაქში არის KARE Design-ის ოფიციალური მაღაზია. დიზაინი მუდამ ვითარდება და KARE თბილისიც მუდამ გთავაზობთ ინტერიერის ახალ იდეებსა და მოდურ კოლექციებს. და რაც მთავარია არქიტექტორებს, დიზაინერებსა და ჩვენ უსაყვარლეს მომხმარებლებს აღარ მოუწევთ თვეების ლოდინი. მსოფლიოს უახლესი დიზაინი ყოველთვის იქნება KARE Design-ის თბილისის ოფიციალურ მაღაზიაში მთელი მსოფლიოს პარალელურად. KARE Design გელოდებათ ახალი საზაფხულო კოლექციის შესაფასებლად და დიდი სიყვარულით მიუნხენიდან თბილისში.



**KARE Design**
**საზაფხულო აქცია**

ეს მნიშვნელოვანია! გთხოვთ არ უთხრათ მეგობრებს, რომ ახალი კოლექციის გარდა KARE თბილისის საზაფხულო აქცია გთავაზობთ სპეციალურ ფასებს რბილ ავეჯსა და აქსესუარებზე, თორემ შესაძლებელია თქვენმა მეგობრებმა ყველაფერი შეიძინონ და თქვენთვის აღარ დარჩეს.

დ. აღმაშენებლის ხეივანი 38
ტელ: 224 18 81, 595 55 09 41.
info@kare-tbilisi.ge
www.kare-tbilisi.ge
ვიმეგობროთ FB/KARE.Tbilisi

# AAG

**საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია შეიქმნა:**

- პროფესიონალური ურთიერთობებისათვის;
- ქალაქმშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინი სფეროში არსებული პრობლემების განსახილველად და გადასაჭრელად;
- ასოციაციის წევრთა ბიზნესის ხმარდასაჭერად;
- არქიტექტორთა საერთაშორისო ფესტივალების, საერთაშორისო კონკურსების - წარმატებით ჩასატარებლად;
- „არქიტექტორთა კლუბის“, ჟურნალი "სტილის" პოპულარიზაციისათვის.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია - არქიტექტორების და დიზაინერების გაერთიანება - შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალებს განიხილონ არქიტექტურის და მშენებლობის სფეროში არსებული პრობლემები, სიახლეები, პროექტები, ნოვატორული წინადადებები, ჩაატარონ ახალი სამშენებლო ტექნოლოგიების, დიზაინერული თუ ფურნიტურის კომპანიების პრეზენტაციები.

**„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ სტრატეგიები:**

- მაღალგანვითარებული, დახვეწილი, ერთიანი, თვითრეგულირებადი, პროფესიონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე;
- არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების ტენდენციების შესახებ ასოციაციის წევრების ინფორმირება;
- ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობის მექანიზმების ფორმირება;
- ასოციაციის წევრების საქმიანობისთვის პროფესიონალური სტანდარტების შემუშავება;
- ასოციაციის წევრთა სერთიფიცირებისთვის ხელის შეწყობა;
- წვლილის შეტანა ასოციაციის წევრების ბიზნეს ზრდასა და კეთილდღეობაში;
- ასოციაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვა, რჩევის მიცემა, დატრეინინგება, დახმარება, მხარის დაჭერა;
- ასოციაციის წევრებისთვის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ასოციაციის წევრების ინტეგრაცია არქიტექტურის და მშენებლობის პროფესიონალურ სფეროში;
- საერთო პრობლემების გადაწყვეტა; რეკომენდაციების და პროგრამების შემუშავება არქიტექტურისა და სამშენებლო ბაზრის განვითარებისთვის;
- ასოციაციის წევრებს შორის კონსულტაციების და ინფორმაციის გაცვლა მიმდინარე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე პოზიციების შესახებ;
- ასოციაციის წევრების ინტერესების დაცვა და წარმოჩენა საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ მუნიციპალურ სტრუქტურებში;
- ქვეყნის არქიტექტურის და სამშენებლო საქმიანობის სრულყოფისთვის და ერთიანი მაღალესთეტიკური ქალაქდაგეგმარებითი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი, კეთილმოწყობილი ქალაქური გარემოს ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნაციონალური სტანდარტების შემუშავება;
- პროფესიონალთა პრესტიჟის განმტკიცება; ასოციაციის წევრთა გაზრდა.

**Association of Architects of Georgia**

In 2011 STYLE Magazine and Architectural Club Ltd established Association of Architects of Georgia (Noncommercial (non-governmental) Legal the person).

Association of Architects of Georgia - a union of architects and designers - provides the professionals with an opportunity to discuss ongoing architectural and construction issues and news, projects and innovations introduced by their colleagues and to arrange presentations of new construction technologies, services and products offered by design or furniture companies.

Association of Architects of Georgia was established with the following goals:

- to foster professional relationships;
- to enable discussion and solving of different issues related to urban development, architecture and design;
- to support professional activities of Association members;
- to promote STYLE Magazine and diversify the range of its publications;
- to ensure successful development of international competitions - such as Architectural Award - organized under the auspices of STYLE Magazine;
- to provide Association members with an informal but presentable social environment.

Every year, STYLE organizes an international exhibition Architectural Award, covering such nominations as single-family residence, apartment block / residential complex, public construction, residential interior, public interior, reconstruction project, etc. (detailed information about this competition can be found at http://www.archiaward.com)

In 2014, Association of Architects of Georgia, Architects' Club and STYLE Magazine jointly organized the first Georgia-based International Architecture Festival in conjunction with the already traditional international architectural competition Architectural Award 2014.

We hope you find the above noteworthy and look forward to your comments regarding cooperation opportunities.

Thank you very much in advance.

**დაგვიკავშირდით:**
ვაჟა-ფშაველას გამზ №70ა, 0186, თბილისი. მობ: +995 593 42 74 73.
ელ-ფოსტა: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

Contacts: 70a Vaja-Pshavela ave., 0186, Tbilisi, Georgia. Cell: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ


შეარჩიეთ სასურველი ტექსტილი
SATEN DELUX, DIJITAL, JAKAR
კოლექციებიდან და მიიღეთ
საჩუქრად 2 საწოლიანი საბანი
LIBELLE.
TAÇ
ZORLU


შეიძინეთ 2 საწოლიანი
თეთრეულის გარკვეული
მოდელები 30% ფასდაკლებით!
TAÇ


შეიძინეთ ტექსტილი
ბავშვებისა და მოზარდებისთვის
25/30% ფასდაკლებით!
TAÇ

# www. archias.ge




„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ა
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

**მზადდება წიგნის მეორე ნაწილი**

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს
დაგვიკავშირდით:
e-mail: laghidze.n@gmail.com

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book

Project organizers: STYLE Magazine, Association of Architects of Georgia

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
70a Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia;
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

Mob. +995 593 42-74-73; +995 599 10-56-03


DOLCE ROSA®
SALON INTERIOR
АМЕРИКАНСКАЯ МЕБЕЛЬ
ИТАЛЬЯНСКАЯ САНТЕХНИКА
ОСВЕЩЕНИЕ
ДЕКОР




# იცხოვრე “Dolce Rosa”-ს სტილში

ავეჯისა და დეკორის გალერეა “Dolce Rosa” – ამერიკული და ევროპული ავეჯის, გასანათებლების და უნიკალური დეკორის უმსხვილესი წარმომადგენელია თბილისში და შთაგონების წყაროა მისი მომხმარებელსთვის თანამედროვე საცხოვრებელი თუ საქმიანი გარემოს მოწყობაში.

ჩვენი კომპანია, რომელიც ათ წელზე მეტია მუშაობს უკრაინის ბაზარზე, გახდა, ყველაზე ბრენდული ამერიკული და ევროპული მარკების ექსკლუზიური წარმომადგენელი – ავეჯის, განათების და დეკორის ინდუსტრიაში. ჩვენ ვთანამშრომლობთ საუკეთესო ფაბრიკებთან, იმისათვის, რომ ჩვენმა კლიენტებმა მოცემული სფეროს უმაღლესი ხარისხი და ყოველი ნოვაცია შეიგრძნონ.

ჩვენი კომპანია წარმატებით აფართოებს საქმიანობის სფეროს. ჩვენ გთავაზობთ: მაღალი დონის მომსახურებას, რომელიც განაპირობებს მაღალი ნდობის ურთიერთობებს კლიენტებთან და არქიტექტორებთან; ნებისმიერი არასტანდარტული ავეჯის დიზაინს იტალიიდან და ესპანეთიდან; მდიდარი ასორტიმენტის ხელმისაწვდომობას ჩვენს სალონში – თბილისში, ასევე 1000-ზე მეტი ფაბრიკას კატალოგურ ვერსიაში.

ამჯერად, გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი ახალი შედევრი - ამერიკული ავეჯის ფაბრიკა – „BASSETT“.

„BASSETT“-ს მარკა ამერიკელების უმრავლესობისთვის ბრენდზე მეტია. ეს მთელი ფილოსოფიაა, მსოფლმხედველობის მოწესრიგებული სისტემაა, რომელიც ერთიან გარსში მოაქცევს უმაღლესი ხარისხის ხის მასალას, დახვეწილ ქსოვილებს, ძვირფას ნატურალურ ტყავს. ის ჭეშმარიტად ამერიკული ცხოვრების წესის სიმბოლოა. რომელიც წარმოუდგენელია კომფორტის გარეშე და წარმატების და თანმიმდევრულობის გამომხატველია.

ყოველივე ზემოთ თქმულის ნათელი დადასტურებაა, თავად კომპანია „BASSETT“-ს ისტორია, რომელიც მოგვაგონებს ამერიკულ ოცნებას, როცა ტუალეტის მაგიდების მწარმოებელი პატარა ფირმა, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მიზანმიმართული ადამიანის ძალისხმევით გარდაიქმნება გიგანტად მსოფლიო ავეჯის ინდუსტრიაში.









ხარისხი „BASSETT“-სთვის არ არის ცარიელი ფრაზა, მას ხელშესახები შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრავს და გამოიხატება გარანტირებული მომსახურების ვადებში. ნაკეთობის ყოველი კონსტრუქცია, რომელიც მოიცავს ტექსტილს, ტყავს, ფურნიტურას, მექანიზმებს და სხვა დამაკომპლექტებლებს – უზრუნველყოფილია ერთწლიანი გარანტიით მწარმოებლისგან. გამონაკლისი არ არსებობს და ხელმისაწვდომია განთქმული მარკის ყველა მყიდველისთვის. უფრო მეტიც! – ფაბრიკა იღებს ვალდებულებას დაფაროს დივნის რემონტისთვის ან ზამბარების გამოცვლისთვის საჭირო ხარჯები 3 წლის განმავლობაში, ავეჯის გაყიდვიდან. გარანტია „მატრასებზე“ (ლეიბებზე) – ხუთ წელს შეადგენს.

კომპანია „BASSETT“ თავისი თავდაპირველი პრინციპების ერთგულია – ხარისხიანი, სტილური ავეჯი, აუცილებელი არ არის იყოს ძვირი და იგი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველასთვის. მობრძანდით ჩვენს სალონში და თავად დარწმუნდებით, რამდენად ერთგულნი ვართ ამ იდეის.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც გვინდა წარმოგიდგინოთ, ეს არის ამერიკული ავეჯი – TM “Holly-Wood“. სავაჭრო მარკა “Holly-Wood“ ჩვენს სალონში წარმოდგენილია საძინებლების, სასტუმრო და სასადილო ოთახების დასაკომპლექტებელი და რბილი ავეჯის კოლექციებით. ეს არის ხის მასალისგან დამზადებული ამერიკული ავეჯი, რომელიც უკვე ჩვენთანაა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქარხნის პროდუქცია უნიკალური შეთავაზებაა ავეჯის ბაზარზე, ეს არის მაღალი ხარისხი, შეღავათიან ფასები და შესანიშნავი, განსაკუთრებული სტილი.

TM „Holly-Wood“-ს დიზაინი გამოირჩევა მომხიბვლელობით, ელეგანტურობით, მარტივი დახვეწილი ფორმებით, შესანიშნავი დეტალებით, რომელიც დამახასიათებელია ამერიკული დიზაინისთვის. ყოველ წელს, ქარხანა ვითარდება და მდიდრდება ექსკლუზიური კოლექციებით, რომელიც აერთიანებს ქსოვილის, ხის მასალის, რკინის, მუდმივ დიზაინს, ქმნის სტილს, რომელიც შეესაბამება თქვენი ცხოვრების წესს დღეს და მრავალი წლის განმავლობაში.



სალონი «Dolce Rosa» თბილისში - მაღალი ხარისხის გარანტია, გემოვნების და სტილის განმსაზღვრელია. აქ თქვენ ნახავთ ავეჯის და დეკორის, განათების და აქსესუარების, დიზაინის საინტერესო გადაწყვეტების, ინტერიერის შესაქმნელად უამრავ კომბინაციას. სალონი დაყოფილია ზონებად ისე, რომ თითოეულს აქვს საკუთარი სტილი მიმართულებით და გაწვდით რჩევებს თქვენი ინტერიერის გასალამაზებლად. ჩვენ გელოდებით გალერეაში Dolce Rosa! ჩვენ ყოველთვის შევარჩევთ იმას, რაც გაგაოცებთ!

სალონ „Dolce Rosa“-ს დამფუძნებლისგან

„აზრის ძალა სასწაულებს წარმოშობს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი ენერგიით დამუხტული აზროვნება“.

მე მჯერა, რომ ნივთები ასხივებენ დადებით ენერგიას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ჩვენი განწყობა, ცხოვრებაში. სალონისთვის ასორტიმენტის შერჩევისას, დავიწყე ნივთების შეგრძნება. მათი ერთ კომპოზიციად გამთლიანება და შედეგად შედგა სალონი „Dolce Rosa“- ს ინტერიერი. ეს ჩემი მეორე სახლია, ჩემი ციხესიმაგრეა, ჩემი საქმეა, რომელსაც ვუძღვნი ჩემს ცხოვრებას.

და, მე უდიდესი სიამოვნებით გეპატიჟებით ჩვენს სალონში „Dolce Rosa“. მნიშვნელობა არა აქვს, რა გსურთ - ბოლომდე დაკომპლექტებული ინტერიერის შეკვეთა თუ პატარა ლარნაკის შეძენა - ჩვენ ყოველთვის მზად ვართ შემოგთავაზოთ ფინჯანი ყავა და დავაკმაყოფილოთ თქვენი ნებისმიერი ინტერიერული კაპრიზი

**პატივისცემით,**
**სვეტლანა ვილგელმსკა**
**ავეჯისა და დეკორის ინტერიერული**
**სალონის «Dolce Rosa»-ს დირექტორი**

DOLCE ROSA®
SALON INTERIOR


აირჩიეთ ვესტელის
კონდიციონერი
მთელი ზაფხულის
სიგრილით!
გარანტია
5 წელი
VESTEL GEORGIA
239 55 37
ვესტელი
VESTEL

# ხარისხი გარანტირებულია!

5



VESTEL GEORGIA

032 2614055

ვესტელი

VESTEL

# სარჩევი
# Content




ახალი ამბები
NEWS

"ახალი ნათების" საიმიჯო შოურუმის ფილიალი უკვე ბათუმშია 34



საკრებულოში ხელოვნებისა და ლიტერატურის კონკურსის "თბილისი" პრეზენტაცია გაიმართა 36



ქალაქი
CITY

ვერეს ტრაგედიის მიზეზები და ვერსიები

Explanations differ about what caused disastrous flood in Tbilisi 38



მირზა შაფის ქუჩის განვითარების ესკიზურ პროექტი

Winner project for “Mirza-Shafi” Street Developmen 46



არქიტექტურის საერთაშორისო ფორუმი "ინტერარქი-2015" 48



ვენეციის ბიენალე
BIENNALE DI VENEZIA

ქართული პავილიონის გახსნა ვენეციის ბიენალეზე 50



სახლი
HOUSE

იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-სახელოსნო

The Qvevri school of Ikalto 52



მაწვნის სახლი

Matsoni house 56



ინტერიერი
INTERIOR

საცხოვრებელი სივრცის ინდუსტრიული დიზაინი

The industrial Design of Living Space 60



რუმ დიზაინი

Room Design 68





რონიკო R Roniko
Cartier
MONT BLANC
Chopard
DOLCE & GABBANA
20

# სარჩევი
# Content



უზადო დიზაინი
Flawless Design 74


გორგიას შოურუმის ინტერიერი
Interior of Gorgias Showroom 78


ტიფლის ბრანჩის ინტონაციები
Intonation of Tiflis Brunch 82


Zen minimalism and Harmony 84


ვერნისაჟი
VERNISAGE
დიზაინის ფაკულტეტის მიმართულებები თბილისის სამხატვრო აკადემიაში 90


80-იანები 92


"ჩემი სულის ფერები..."
"THE COLORS OF MY SOUL..." 94


გაზაფხული 2015 96


"ტრიალოგი" - საუბარი სამს შორის
Trialogue - Conversation of Three 98


ინფორმაცია
INFORMATION
არქიტექტურული მომსახურების ღირებულება 100





ფორუმი
ახალი ნათება
ავეჯი განათება აქსესუარები
უკვე ბათუმში
220 24 24
www.newlight.ge

# "ახალი ნათების" - "ფორუმის" - შოურუმის ფილიალი უკვე ბათუმშია

4 ივლისს, ბათუმში, ხიმშიაშვილის N1–ში "ახალი ნათების", პრემიუმ კლასის, საიმიჯო შოურუმის, "ფორუმის" ფილიალი გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იქნა, როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერისთვის განკუთვნილი მსოფლიო ბრენდის ავეჯი, განათება აქსესუარები. "ფორუმს" ახალი პარტნიორი ჰყავს გერმანული ბრენდის Hacker-ის სახით. სწორედ ბათუმის ახალ ფილიალში გაიმართა Hacker-ის სამზარეულოების პრეზენტაცია.

"ფორუმი" თბილისში აღმაშენებლის ხეივანზე 2013 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანიაში წარმოდგენილია მსოფლიო ბრენდების ავეჯი, განათება, აქსესუარები.

"ფორუმი" არის ერთ–ერთი უნიკალური პროექტი მთელს ქვეყანაში, როგორც არქიტექტურული, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. მომხმარებელს საშუალება ეძლევა ადგილზე შეიძინოს ან შეუკვეთოს ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქცია, მიიღოს კონსულტაცია კომფორტულ სივრცეში და სასიამოვნო დრო გაატაროს "ფორუმის" კაფეში.

მაღალი ხარისხის, გამორჩეული ვიზუალისა და მაქსიმალური კომფორტის ძიებით კომპანიამ წარმოადგინა ავეჯის მწარმოებელი ისეთი მსოფლიო ბრენდები, როგორებიცაა: Hülsta, Now! By Hülsta, KOINOR, Freistil by ROLF BENZ, Gautier, VONDOM, Life, Désirée, Ozzio...

განათების სფეროში კი წარმოდგენილია "ახალი ნათების" პარტნიორი ბრენდების უახლესი და საუკეთესო მოდელები: Artemide, Kolarz, Linealight, Deltalight, Philips, Flos, Prolicht, Fumagali...

"ფორუმი" განასხვავებს ევროპულ ბრენდებსა და „დამზადებულია ევროპაში" იარლიყს.

"ფორუმში" წარმოდგენილი ბრენდების პროდუქცია იწარმოება გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში.


























FORUM

















# საკრებულოში ხელოვნებისა და ლიტერატურის კონკურსის "თბილისი" პრეზენტაცია გაიმართა



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საკრებულოს დეპუტატებთან ერთად სახელოვნებო დარგის წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.

როგორც საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ თავისი ფორმატით, ქართულ სახელოვნებო სივრცეში, ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს და ხელოვნების არაერთ სფეროს მოიცავს.

თამარ ტალიაშვილმა სპეციალურ პრიზებსა და ნომინაციებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ კონკურსში აფხაზები და ოსებიც მიიღებენ მონაწილეობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტია. დეპუტატმა დამსწრე საზოგადოებას ის რვა ნომინაცია და ჟიურის სპეციალური პრიზი გააცნო, რომელსაც აღნიშნული კონკურსი მოიცავს.

„პროზის, პოეზიისა და ესეს გარდა, გამარჯვებულები გამოვლინდებიან: არქიტექტურაში, ქანდაკებაში, ფოტოხელოვნებაში, სიმღერასა და ფერწერში. ასევე გვაქვს ჟიურის სპეციალური პრიზი, რომლითაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ის ნაშრომი დაჯილდოვდება, რომელმაც სხვა ნომინაციაში ვერ გაიმარჯვა“, - განაცხადა თამარ ტალიაშვილმა.

კონკურსის მნიშვნელობაზე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა ისაუბრა. მისი ინ-











ფორმაციით, კონკურსი საკრებულოს ინიციატივით ტარდება და ნომინანტების დაჯილდოვება „თბილისობის“ დღეს მოხდება.

„ვფიქრობ, დედაქალაქმა კულტურული ცხოვრებით კიდევ უფრო უნდა გაიფართოოს თვალსაწიერი, რასაც მსგავსი კონკურსები უწყობენ ხელს. ჩვენ უნიჭიერესი ხელოვანები და შემოქმედები გვყავს და ბუნებრივია, მათი აქტიურობა და ქალაქის ღონისძიებებში ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია“, - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.







საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა - მურაზ მურვანიძემ, რევაზ მიშველაძემ, ნიკუშა შენგელაიამ, ირმა სოხაძემ და სხვებმა კონკურსის მასშტაბურობასა და მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და აღნიშნეს, რომ მსგავსი კონკურსები ყველა ხელოვანი ადამიანისთვის დიდი სტიმულის მიმცემია.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცხადებული კონკურსი ლიტერატურის, ფერწერის, არქიტექტურის, ქანდაკების, სიმღერისა და ფოტოგრაფიის დარგში მოღვაწე შემოქმედთა ინტელექტუალური პოტენციალის გამოსავლენად ტარდება.

ნამუშევრების მიღება 20 ივლისიდან 10 სექტემბრამდე გაგრძელდება.

გამარჯვებულებს, „თბილისობის“ ღონისძიების ფარგლებში, გადაეცემათ კონკურსის სიმბოლო ხოხობი და ერთჯერადი ფულადი პრემია.



# ვერეს ტრაგედიის მიზეზები და ვერსიები

თბილისში მომხდარი სტიქიის გამომწვევ მიზეზებად სხვადასხვა ფაქტორები სახელდება. გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა სტიქიის განვითარების სურათი, რომელიც კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით არის გაკეთებული და სამინისტროში განმარტავენ, რომ მომხდარი რეალური სურათის იდენტურია.

მდინარე ვერეს მარჯვენა ფერდობზე, სოფელ ახალდაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყნეთი-ბეთანიის საავტომობილო გზაზე ადგილი ჰქონდა კლდეზვავური ტიპის მეწყრული პროცესების განვითარებას. კერძოდ, მოწყდა დაახლოებით მიწის მილიონი კუბური მეტრი, რამაც განაპირობა ღვარცოფული ნაკადის წარმოქნა. ამ ნაკადმა მდინარე ვერეს ხეობა დროებით ჩაკეტა. ყოველივეს წინ უძღოდა უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლა სეტყვისა და წვიმის სახით. შექმნილი ხანმოკლე წყალშეგუბების გარღვევას მოჰყვა მდინარე ვერეს ხეობაში წყლის დონის აწევა, ღვაროცოფული ნაკადის გავლა და ცალკეული ადგილების დატბორვა.

## სტიქიის ხელისშემწყობი ფაქტორები

სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას სპეციალისტები ორი რიგის საკითხებს გამოყოფენ – ბუნებრივ და ურბანულ-კონსტრუქციულ ფაქტორებს.

სპეციალისტები თანხმდებიან, რომ სტიქიის გამომწვევი მთავარი ფაქტორი ძლიერი წვიმა იყო, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა. თუმცა, მეტეოროლოგები იმასაც ამბობენ, რომ სხვა დროს ამაზე მეტი ნალექიც მოსულა, თუმცა ასეთი დამანგრეველი შედეგი არ ჰქონია. შესაბამისად, სფეროს სპეციალისტები განმარტავენ, რომ ძალიან ძლიერ წვიმას სხვა ხელშემწყობი ფაქტორები რომ არ დართვოდა, სტიქია ნაკლებად დამანგრეველი იქნებოდა.

მეორე ფაქტორად უკვე მეწყერი სახელდება, რომელმაც სტიქიის მასშტაბებში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

“ყველაფერი იმან გაართულა, რომ ძალიან დიდი მოცულობის მეწყერი ჩამოწვა, რომელმაც მდინარე ვერეს ხეობა ჩაკეტა. მდინარე დაგუბდა და რეალურად ეს დრამატული შედეგი არა წვიმამ მოიტანა, არამედ უზარმაზარმა ღვარცოფმა, რომელიც მეწყერმა გამოიწვია,” – ამბობს კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის კოორდინატორი, რეზო გეთიაშვილი.

## ინფრასტრუქტურის როლი სტიქიის განვითარებაში

ზემოთ დასახელებული მიზეზები სტიქიურ მიზეზებად ითვლება. კამათი კი უკვე ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიდის, რადგან სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ შედეგების მასშტაბურობა სტიქიის ზონაში აგებულმა ინფრასტრუქტურამ განაპირობა . მეორე ნაწილი კი ამ მოსაზრებას არ იზიარებს. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში იმასაც კი ამბობენ, ეს ინფრასტრუქტურა რომ არ ყოფილიყო, შედეგები უფრო დამანგრეველი იქნებოდა. აზრთა სხვადასხვაობაა როგორც გეოლოგებს, ასევე არქიტექტორებს შორის.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი, ნინო ჩხობაძე DFWatch-თან საუბრისას ამბობს, რომ თავის დროზე გმირთა მოედანზე ესტაკადის მშენებლობის დროს არ მომხდარა გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მშენებლობა დაიწყო მანამდე, ვიდრე შესწავლა დასრულდებოდა.

“თავის დროზე, როდესაც ესტაკადა შენდებოდა, ჩვენ ვამბობდით და დღესაც ვიმეორებთ, რომ სწორად არ იყო გათვლილი ყველაფერი. ეს რისკი უნდა ყოფილიყო მოდელირებული, რაც სამწუხაროდ არ მოხდა. მაშინ ძალიან გვეჩქარებოდა მშენებლობა და საზოგადოებამაც ვერ შევძელით ბოლომდე გაგვეტანა ჩვენი სიტყვა,” – აღნიშნა ჩხობაძემ. ის ამბობს, რომ მაშინაც ამბობდა, „მდინარის ხარჯი არის მაღალი და ვერ გაატარებდა ეს მილები წყლის მოცულობას და ვერც გაატარა. მოხდა ამხელა ტრაგედია”.









რეზო გეთიაშვილი ამ ტერიტორიის ვერტმფრენიდან გადაღებული ფოტოების ანალიზის საფუძველზე ამბობს „როგორც ჩანს, მდინარის ჩაკეტვა მეწყერით არ მომხადარა, იმიტომ, რომ, სადაც მეწყერი ჩამოწვა მდინარესთან ცოცხლად არის მწვანე საფარი, რაც ცალსახად მიუთითებს იმას, რომ მეწყერი ბოლომდე რომ ჩამოსულიყო, ამოევსო მდინარე და ჩაეკეტა, ბუნებრივია სულ წაიღებდა ხეებს ბალახას, ბუჩქებს“. „გამოდის, რომ საქმე გვაქვს უფრო შეტბორვასთან, რაც ნიშნავს იმას, რომ მოვიდა ძალიან დიდი რაოდენობის ნალექი და ვერ მოხდა წყლის მასის გატარება, რომლის გამტარობაც ისედაც ძალიან შემცირებული იყო 2011 წლიდან. რა თქმა უნდა მეწყერს ჰქონდა თავისი უარყოფით ზეგავლენა ამ პროცესზე, მაგრამ ეს ტრაგედია უფრო ჰიდროლოგიურ მოვლენასთან შეიძლება დავაკავშიროთ. ძალიან დიდი რაოდენობის წყლის ნაკადი იყო, რომელსაც ღვარცოფული მასა მოჰყვა, რომლის გასატარებლად ინფრასტრუქტურა მზად არ აღმოჩნდა“.

ინფრასტრუქტურას აბრალებს არქიტექტორთა ერთი ნაწილიც „აქ არის ორი საკითხი, რა ამოცანა იყო დასმული და რა გზებით მოინდომეს ამის გადაწყვეტა. ამან განაპირობა ყველაფერი. რა თქმა უნდა, ყველაფერი არასწორად გაკეთდა და ამან განაპირობა ეს ტრაგედია. ამოცანა იყო დასმული, რომ ჩქაროსნული მაგისტრალი გაკეთებულიყო. ჩქაროსნული მაგისტრალი კი რაც შეიძლება სწორახაზოვანი გზის დაგებას მოითხოვს. ამან კი მდინარის კალაპოტის შეცვლა და გვირაბებში ჩასმა გამოიწვია. ამან განაპირობა კლდეების ჭრა და ეროზიული მონაკვეთების მორეცხვა. მდინარემ კი გასცა პასუხი. წყალი და განსაკუთრებით მთის მდინარე ყოველთვის იბრძვის იმის წინააღმდეგ, თუ გზა გაუღობე. ამაშია მთელი ამბავი. ამოცანა იყო არასწორად დასმული, შესრულდა არასწორად, რომელიც ბუნებასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა და პასუხიც სათანადო მივიღეთ – ბუნებამ არ გვაპატია,“ – ამბობს არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი.

ხელოვნებათმცოდნე მარინა ხატიაშვილიც მის აზრს იზიარებს და ამბობს, რომ „ვერსად გავექცევით იმას, რომ ეს იყო პიარისთვის გაკეთებული ძალიან ნაჩქარევი და უხარისხო პროექტი და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ“. ის იხსენებს არქიტექტორ კოკა ამირეჯიბის მოსაზრებასაც, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და ამ პროექტის განხორციელების ყველაზე კატეგორიული წინააღმდეგი იყო სწორედ იმ მიზეზების გამო, რაზეც დღეს არქიტექტორთა ნაწილი საუბრობს.

თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორი ირაკლი მასხარაშვილი ამბობს, რომ „ამ მაგისტრალს მდინარე ვერეს გაყოლებაზე არ უნდა გაევლო. მეორე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მთის მდინარეების ხელოვნურ გვირაბებში გადაყავანა. ეს არ გაითვალისწინეს და ამიტომაც მოხდა ეს ყველაფერი.”

## ხელისუფლების პოზიცია

სპეციალისტების კომენტარებიდან სამი მიზეზი იკვეთება, რომელმაც სტიქიის შედეგები განაპირობა. 1. მეწყერის ჩამოწოლამ გამოიწვია მდინარე ვერეში წყლის დაგუბება, წყალმა გამოხეთქა და ვერეს მიმდებარე ადგილები წალეკა; 2. ყოველგვარი მეწყერის გარეშეც ყოფილა ვერეს ადიდების შემთხვევები და 3. პროექტი იყო არასწორად შედგენილი.

რომელი ვარიანტია აქედან სწორი და რა რეაგირების განხორციელებაა აუცილებელი, სპეციალისტები ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ. მათი თქმით, დასკვნის გასაკეთებლად საკითხის სერიოზული შესწავლაა საჭირო.

განცხადება პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა.”ვავალებ შესაბამის სამსახურებს, დაიწყონ ამაზე მუშაობა, უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და საჭიროა, დადგინდეს რეალური მიზეზები, რომ მომავალში, თავიდან ავიცილოთ ის, რაც მოხდა. გარანტია იმისა, რომ ეს აღარ განმეორდება, არ არსებობს. ჩვენ ვალდებული ვართ, შევისწავლოთ და მოვახდინოთ შესაბამისი პრევენცია“. კვლევის შედეგები სექტემბრის თვეში გახდება ცნობილი.

ვრცლად გთავაზობთ, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის შეფასებებს წყალდიდობის შესახებ: „მდინარე ვერეზე ჩავლილი კატასტროფული წყალდიდობის გამომწვევი ძირითადი ბუნებრივი მიზეზი არის ამ მდინარის წყალშემკრებ აუზში 3–3.5 საათის განმავლობაში მოსული თავსხმა წვიმა“, – ასეთ შეფასებას აძლევს 13 ივნისის სტიქიას კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ი და მდინარე ვერეს კატასტროფული წყალდიდობის მიზეზების შესახებ ანალიზს აქვეყნებს. თუმცა ორგანიზაციის დასკვნაში სტიქიის ძირითადი გამომწვევი მიზეზი თავსხმა წვიმა კი არა, მდინარის არაბუნებრივი მორფოლოგიური იერი და ის ბარიერებია, რომელიც ადიდებულ მდინარეს ვერეს ხეობაში დახვდა.

## კალაპოტის წყალგამტარუნარიანობამ ვერ უზრუნველყო ნიაღვრის სწრაფი გატარება

„ჩვენი დაკვირვებით, მდ. ვერეს აუზში აღნიშნული წვიმის შედეგად, სავარაუდოდ,მოვიდა დაახლოებით 100 მმ რაოდენობის ნალექი, რაც ამ მდინარის აუზისათვის თითქმის ორი თვის ნორმაა. აღნიშნულის შედეგად, მდინარ-









ის ხეობის კალთებზე წარმოიქმნა დიდი რაოდენობის ზედაპირული წყალი. მდ. ვერეს აუზში პირველადი ტყე ადამიანის მოქმედებით ძლიერ არის დეგრადირებული. აუზის ზედაპირი ამჟამად დაფარულია XX საუკუნეში ადამიანის მიერ ძლიერ სახეშეცვლილი ტყითა და ტყე–ბუჩქნარებით, რასაც თითქმის მთლიანად აქვს დაკარგული წყალშემკავებელი ფუნქცია. ამიტომ, 13 ივნისს თავსხმა წვიმებით წარმოქმნილი ზედაპირული წყალი სწრაფად მოხვდა მდინარის კალაპოტში, ძლიერ გაიზარდა მდინარის წყლის ხარჯის მოცულობა (ერთ წამში მდინარის კალაპოტის განივ კვეთში გატარებული წყლის მოცულობა). კალაპოტის წყალგამტარუნარიანობამ ვერ უზრუნველყო ნიაღვრის სწრაფი გატარება, რამაც სათავე დაუდო კალაპოტისპირა ტერიტორიების დატბორვას. ეს არის 13 ივნისს მომხდარი კატასტროფული წყალდიდობის ძირითადი ბუნებრივი მიზეზი", – ნათქვამია CENN-ის წერილში.

## ტრაგედიის ორი ზონა

CENN-ის შეფასებით, სტიქიას ხელი ხელოვნურმა მიზეზებმაც შეუწყო. CENN-ის განცხადებით, ვერეს ხეობაში მომხდარი ტრაგედიის ხელოვნური მიზეზი მდინარის კალაპოტის ბოლო მონაკვეთზე არასწორად წარმართული სამეურნეო საქმიანობის შედეგად კალაპოტის წყალგამტარიოანობის ნაწილობრივი პარალიზება და მიწქისქვეშა გვირაბების არასაკმარისი დიამეტრის ფაქტორი იყო.

„აღნიშნულმა ფაქტმა კალაპოტის გასწვრივ განაშენიანებული ტერიტორიების ნგრევა–განადგურება გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ორმა მიწისქვეშა გვირაბმა, არასაკმარისი დიამეტრის გამო, თავისუფლად ვერ გაატარეს დიდი მოცულობის წყალი და გამოიწვიეს მდინარის კატასტროფული ნაკადის შეტბორვა, წყლის. ნაკადის მიერ წამოღებული ხის მორებისა და ტოტების ჩახერგვით. ნაკადის შეტბორვის გამო, სწრაფად მოხდა მდინარის დონის აწევა და გვირაბებთან მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა".

ხეობაში არსებული პირველი გვირაბით, რომლის სიგრძეც 400 მ-ია, მტკვარში, „ლაგუნა ვერეს" ადგილთან, ხდება მდ. ვერეს კალაპოტის განტვირთვა წყლით. მდ.ვერეს შეტბორვის გამო, ამ გვირაბის დასაწყისში, წყლის დონემ 5-7 მეტრით მაღლა აიწია, რის შედეგადაც ლაფითა და ქვა–ღორღით გაჯერებული ნაკადი გადავიდა ზოოპარკის ტერიტორიაზე და გამოიწვია ადამიანებისა და ცხოველების მასობრივი დაღუპვა. წყლის ნაკადი, ასევე, გადავიდა გმირთა მოედანზე და გააგრძელა გადინება „ლაგუნა ვერეს" მიმართულებით. მეორე წყალგამტარი გვირაბი აგებულ იქნა 1959 წელს, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზის გაყვანის დროს. აქ მდ. ვერეს კალაპოტი მოაქციეს აღნიშნულ გვირაბში, რომელსაც ზემოდან დააყარეს, იქვე, კლდეების აფეთქებით წარმოქმნილი, დაახლოებით, 20 მ სისქის, დაქუცმაცებული მასალა. გვირაბის თავზე ამჟამად გადადის აღნიშნული გზის მონაკვეთი. არც ამ გვირაბის დიამეტრი იძლეოდა კატასტროფული წყალდიდობების დროს წარმოქმნილი წყლის ნაკადის თავისუფალი გატარების საშუალებას. სწორედ ამ გვირაბის მიერ წყლის შეტბორვის შედეგად წყლის დონემ სულ მცირე, 7 მ–ით აიწია მაღლა, რამაც გამოიწვია სვანიძის ქუჩის მდინარისპირა ტერიტორიების ნგრევა–განადგურება. აღნიშნულმა გვირაბებმა ორ დამოუკიდებელ მონაკვეთებად გაყო ტრაგედიის ზონა: გმირთა მოედნიდან ვაკე–საბურთალოს გზამდე და ვაკე საბურთალოს გზიდან სვანიძის ქუჩის ბოლომდე.

**„წყალდიდობა, რასაც 13 ივნისს ჰქონდა ადგილი, მომავალშიც აუცილებლად განმეორდება".**

ანალიზის ავტორებს მდინარე ვერეზე 1961 წელს მომხდარი კატასტროფული წყალდიდობის ფაქტიც მოყავთ, რამაც მაშინაც გამოიწვია ზოოპარკის დაღუპვა. მათი დასაბუთებით, აღნიშნული ფაქტი ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის მშენებლობისას არ იქნა გათვალისწინებული.

CENN-ის ანალიტიკოსების აზრით, 13 ივნისის ტრაგედიაში მეწყრებს რაიმე არსებითი როლი არ მიუძღვით. მათი ინფორმაციით, ჩატარებულმა დეტალურმა გეოლოგიურ–გეომორფოლოგიურმა გამოკვლევებმა და აეროგადაღების მასალებმა დაადასტურა, რომ ბეთანია–ახალდაბის არეალში წარმოქმნილმა მძლავრმა მეწყერმა მდ. ვერეს კალაპოტის ძირამდე ვერ ჩაიტანა ისეთი მოცულობის მეწყრული მასალა, რასაც შეეძლო კალაპოტის ჩახერგვა და ნიაღვრების ხანგრძლივი დროით შეკავება, რაც სამომავლოდ გასათვალისწინებელია.

CENN-ის ანალიზით, მდ. ვერეზე ჩავლილი უძლიერესი წყალმოვარდნის კატასტროფული ეფექტის მთავარი მიზეზი მდინარის კალაპოტისპირა დაბალი ტერიტორიების ადამიანის მიერ არცთუ გააზრებლად სამეურნეოდ ათვისებაა.

CENN-ი სამომავლო სტიქიების თავიდან აცილების რეკომენდაციასაც იძლევა. მათი განმარტებით, მდინარე ვერეს ხეობას უნდა დაუბრუნდეს ბუნებრივი მორფოლოგიური იერი, რისი მიღწევაც არარეალურია. ისეთი ძლიერი წყალდიდობა, რასაც 13 ივნისს ჰქონდა ადგილი, მომავალშიც აუცილებლად განმეორდება. თავიდან რომ იქნეს აცილებული კატასტროფა, ამისათვის საჭირო იქნება, რომ მდინარის ხეობას დაუბრუნდეს ბუნებრივი მორ-









1940-იანი წ. გმ. მოედანი გაშენდა. ჯვრის ხიდიც გაქრა და მდინარე ვერეც - პირველად სწორედ მაშინ დაფარეს ამ მდ.-ს კალაპოტი.

ფოლოგიური იერი. ამის მიღწევა არარეალურია,რადგან საჭირო იქნება გმირთა მოედნის გაუქმება, მისი ზედაპირის ქვეშ მდინარის ხეობის აღდგენა, ყველა საინჟინრო ნაგებობის (სახლები, გზები, გვირაბები და სხვ.)გაუქმება და ა.შ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მდ. ვერეს აუზში თუ მოხდება ბუნებრივი ტყის აღდგენა, მაშინ კატასტროფული წყალდიდობების რისკი შემცირდება, მაგრამ ასეთი ღონისძიების გატარებასაც სულ მცირე 40–50 წელი დასჭირდება, "-აღნიშნულია CENN-ის კვლევაში.

მდინარე ვერეზე შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი წყალგამტარი გვირაბების დიამეტრის გაზრდა, წყალშემკრები აუზების რეაბილიტაცია და ვაკე-საბურთალოს გზის მონაკვეთის 5-7 მეტრის სიმაღლის აკვადუკებზე მოწყობილი გზის საფარით ჩანაცვლებაა.

კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2000 წლის შემდეგ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლება–მოვალეობაში აღარ შედის თბილისის ტერიტორიის შესწავლა, ანალიზი და მონიტორინგი ბუნებრივი კატასტოფების მდგომარეობის კუთხით. უკვე 15 წელია არ ხორციელდება კატასტროფების რისკების ანალიზი და პრევენციული ღონისძიებების გატარება. CENN-ი გამოდის ინიციატივით, მთავრობამ შექმნას უწყება, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.





არსებული სიტუაციის საერთო ანალიზისთვის გთავაზობთ ამონარიდს არქ. ალექსანდრე სარალიძის (Urban Environmental Laboratory. ურბანული გარემოს ლაბორატორია) კვლევიდან გმირთა მოედნის შესახებ:

## გმირთა მოედანი XX ს-ში ჩამოყალიბდა

XIX ს-ის ბოლოს აქ თავდებოდა ქალაქი და იწყებოდა საქართველოს სამხედრო გზა. XIX-XX სს.-ის მიჯნაზე გმირთა მოედნის ტერიტორია ითვლებოდა თბილისელ მოქეიფეთა საყვარელ ადგილად, სადაც მრავლად იყო პატარა სამიკიტნოები.

1922 წლიდან დაიწყო ქალაქის საგრძნობი გაფართოება მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთით, ვაკის მიმართულებით, 1924 წლიდან კი - საბურთალოს მიმართულებით.

1927 წელს მოედნის უშუალო სიახლოვეს, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე ზოოპარკის გამართვამ გმირთა მოედნის ურბანულ სივრცეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა შესძინა. ამავე წელს გამოცხადდა კონკურსი ჩელუსკინელების ახალი ხიდის (დღევანდელი თამარ მეფის ხიდის) პროექტზე.

მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია მოედანმა მოგვიანებით იტვირთა. 1935 წ. მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული კლდოვანი ბორცვის გაჭრის შემდეგ განვითარდა ჩელუსკინელების ქუჩა (ახლანდელი თამარ მეფის გამზირი). 1932-1937 წლებში აშენდა ჩელუსკინელთა ხიდი - დღევანდელი თამარ მეფის ხიდი (არქ. ნ. სევეროვი, ინჟ. ვ. ს. ლოვინსკი), ხოლო მოედნის სამხრეთ მონაკვეთში, **ვარაზისხევის ქვედა ნაწილის ამოვსების შედეგად** გაჩნდა ვარაზისხევის ქუჩა - კიდევ ერთი მძლავრი განივი სატრანსპორტო მაგისტრალი. იგი გმირთა მოედანს თამარ მეფის ხიდის მეშვეობით აკვაშირებს მტკვრის მარცხენა სანაპიროს, დავით აღმაშენებლის გამზირსა და ვაგზლის მოედანს.

1939 წელს მოედანზე შენდება 11 - სართულიანი კოშკურა საცხოვრებელი სახლი (არქ. მ. კალაშნიკოვი), 1940 წელს კი მის მოპირდაპირედ, ბორცვზე - ცირკის შენობა (არქ. ნ. ნეპრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე).

საბოლოოდ მოედანი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მიმართულებების გადაკვეთის წერტილად იქცა: მარცხენა სანაპირო (დავით აღმაშენებლის გამზირი, ვაგზლის მოედანი) – მარჯვენა სანაპირო (კოსტავას ქუჩა, 1957 წლიდან ვარაზისხევი), ქალაქის ცენტრალური ნაწილი (კოსტავას ქუჩა, რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, ბარათაშვილის ხიდი, მარჯვენა და მარცხენა სანაპირო) – საბურთალო (კოსტავას ქუჩა, პეკინის ქუჩა, ვაჟა ფშაველას გამზირი, გაგარინის მოედანი, მარჯვენა სანაპირო, დიღომი, სამხედრო გზა) ერთმანეთს დაუკავშირდა.

1970-იანი წლების საბჭოთა თბილისში მზარდმა მოტორიზაციამ აუცილებელი გახადა საქალაქო ინფრასტრუქტურის (მათ შორის, გმირთა მოედნის არსებული სივრცის) და სატრანსპორტო რეგულირების გადახედვა.

1974 წელს ქალაქის იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ დამტკიცდა რეკონსტრუქციის პროექტის პირველი რიგის სამუშაოების გეგმა. ქალაქის გამგეობამ ვალდებულად ჩათვალა თავი, მოედნის რეკონსტრუქციის მიზნით ღია კონკურსი გამოეცხადებინა. პირველმა კონკურსმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. თბილისის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, დახურული კონკურსი „თბილქალაქპროექტს“ ჩაეტარებინა. ერთთვიანი საპროექტო ვადის შემდეგ მოედნის რეკონსტრუქციის 7 ვარიანტი წარმოადგინეს, გაიმარჯვა არქიტექტორ კიაზო ნახუცრიშვილის პროექტმა.

პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, მისი ეტაპებად დაყოფა გახდა საჭირო. პირველი ეტაპის რეკონსტრუქცია 1978 (1974 - 78) წელს დასრულდა, რაც პრობლემის მოსაგვარებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო). მოედანი 2,5-ჯერ გაფართოვდა.





რეკონსტრუქციამდე მოედანი ერთ საათში დიდი შეფერხებებით, საუკეთესო შემთხვევაში ატარებდა 12 000 ავტომანქანას, რეკონსტრუქციის შემდეგ კი 30 000 გაატარა. **მოეწყო მოედნის მეორე დონე: გვირაბი 150 მეტრის სიგრძითა და 30 მეტრის სიგანის (დღემდე არსებული), რომელიც საათში 8.000-10.000 ავტომანქანას ატარებდა.** პროექტის სრული სახით დასრულება გადაიდო იმ დრომდე, სანამ ქალაქი ხელახლა არ დადგებოდა სატრანსპორტო პრობლემის წინაშე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1978 წელს დასრულებულმა პროექტმა ქალაქის წინაშე მდგარი სატრანსპორტო პრობლემები მოაგვარა, მაგრამ **მოედნის, როგორც ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სივრცის, ფუნქცია დააკნინა.** იმ დროისთვის ურბანული ხედვებისთვის დამახასიათებელმა მკვეთრად ტრანსპორტზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ საფეხმავლო სავალი ნაწილის მკაცრმა სეპარაციამ (სადაც დომინანტური როლი ისევ საავტომობილო ტრანსპორტს ენიჭებოდა) საზოგადოებრივი სივრცე შეზღუდა, მოუხერხებელი გახადა ადამიანთა თავშეყრა და მხოლოდ სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია მიენიჭა. მართალია, გმირთა მოედანზე მოეწყო მიწისქვეშა საფეხმავლო გადასასვლელები ყველა მიმართულებით, მაგრამ წლების პრაქტიკამ აჩვენა (მიუხედავად ფუნქციურად მნიშვნელოვანი მიზიდვის წერტილებისა უშუალოდ მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორებიცაა: თბილისის ზოოპარკი, ცირკი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საქართველოს მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა მემორიალი, საზოგადოებრივი ტელევიზია და სხვა), რომ მოედნის საფეხმავლო ინფრასტრუქტურა არ მუშაობს მისი არასახარბიელო გეგმარების, სივრცით-ვიზუალური, ფიზიკური კონდიციებისა და სხვა ხარვეზების გამო.

შემდგომი ცვლილება მოედნის სატრანსპორტო რეგულირების სქემასა და შემომავალი ნაკადების რეგულირებას შეეხო. საკითხი ისევ გააქტიურებულმა საავტომობილო მოძრაობამ განაპირობა. 2006 წელს ე.წ. სამკუთხედში (ვარაზისხევის, კოსტავას გამზირისა და მელიქიშვილის გამზირის ნაწილების) სატრანსპორტო ნაკადების მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით მოძრაობა დაიშვა. ამ ცვლილებამ მოედნის სატრანსპორტო რეგულირების სქემაში მცირე კორექტირება მოითხოვა, მაგრამ ქალაქის მმართველობამ პროექტი ყოველგვარი განხილვისა და გადახედვის გარეშე განახორციელა. ცალმხრივი მოძრაობის შემოღებამ ნაკადები თბილისისთვის მგრძნობიარე უბნებისკენ გადაამისამართა, რამაც იქ არსებული პრობლემები უფრო დაამძიმა.

2010-11 წწ-ში. თბილისის მერიის ინიციატივით ვერეს ხეობის ქვედა ნაწილში გაშენდა ახალი მაგისტრალი _ ი. ჭავჭავაძისა და პეკინის გამზირების დუბლირებული/პარალელური, თამარაშვილისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელი მაგისტრალი. ახალი, მეექვსე განშტოების გაჩენამ მოედანზე მისი გეგმარების მნიშვნელოვნად შეცვალა გამოიწვია.

საერთო ფონი დაამძიმა ცენტრალურ რაიონებში ხშირად სტიქიურმა და არასწორად რეგულირებულმა საცხოვრებელი ფონდის ზრდამ, მხოლოდ მოკლევადიან კომერციულ მოგებაზე ორიენტირებულმა მშენებლობამ, რის გამოც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მაცხოვრებელთა გადაადგილების ინტენსივობამ და სიმჭიდროვემ იმატა. ნაწილობრივ მოძველდა და მოიშალა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საგრძნობლად შემცირდა და მოუხერხებელი გახდა საფეხმავლო სავალი ნაწილიც; სივრცითმა და სოციალურ-დემოგრაფიულმა სირთულეებმა მოსახლეობის სატრანსპორტო ქმედებისა და მოძრაობის ქცევაზე იმოქმედა.

მრავალი გამოწვევის მიუხედავად, პასუხისმგებელ სტრუქტურები არ დაინტერესებულან ამ საკითხების სიღრმისეული კვლევით და არც გეგმარებითი სამუშაოები განხორციელებულა.

2006 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტისა და გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) დაკვეთით განხორციელდა სატრანსპორტო გენერალური სქემის პილოტ-კვლევა (სატრანსპორტო გენერალური სქემის წინასწარი კვლევა). კლევის მიზანი იყო არსებული სიტუაციის აღწერა, პრობლემების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება.

მომდევნო ნაბიჯი გრძელვადიანი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება უნდა ყოფილიყო, რაც, ქალაქმშენებლობით განვითარებასთან შეთანხმებით (სატრანსპორტო გენერალური სქემ-



ის შემუშავებით (სგს) სატრანსპორტო გეგმის ფარგლებში ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროგნოზირებადი სატრანსპორტო მოდელის შექმნასა და ქ. თბილისის სამომავლო გეგმარებითი ამოცანების გადაწყვეტასა და განვითარებას უზრუნველყოფდა.

სამწუხაროდ პილოტ-კვლევას გეგმით გათვალისწინებული შემდეგი რიგის სამუშაოები არ მოყოლია (ჩვენთვის უცნობია მიზეზი), თუმცა სატრანსპორტო გენერალური სქემის წინასწარი კვლევა საფუძვლად დაედო 2008 წელს დამტკიცებულ თბილისის მიწათსარგებლობის (ოპერატიული) გენერალური გეგმის, სატრანსპორტო (რეკომენდაციული ხასიათის) ნაწილს.



***დღეს თბილისს სატრანსპორტო გენერალური სქემა (სგს) არ აქვს!***

მიღებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის რეკომენდაციის მიუხედავად, 2009 წელს თბილისის მერიამ თბილისის საკრებულოს წარუდგინა ახალი მაგისტრალის პროექტი მდინარე ვერეს ხეობაში თამარაშვილის ქუჩისა და გმირთა მოედნის დასაკავშირებლად. აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობა არ იყო გათვალისწინებული სატრანსპორტო სარეკომენდაციო ნაწილში (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით) და ცვლილების შეტანა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოხდა. საკრებულომ ნებართვა პროექტის ანიმაციური ვიზუალიზაციის საფუძველზე გასცა. არ დაგეგმილა და განხორციელებულა წინასწარი სატრანსორტო კვლევა, საპროექტო სატრანსპორტო სქემების დათვლა და **არც ბუნებრივ-სოციალურ გარემოზე მისი ზემოქმედება შეფასებულა.** (პროექტის ავტორთა ვინაობა ფართო საზოგადოებისთვის პროექტის დასრულების შემდეგაც უცნობია!).

ესტაკადის ყოველი ტოტი ცალმხრივია, ძირითადი მიმართულება ვაკისკენაა მიმართული, ერთი ხაზი კი მდინარე ვერეს ხეობაში გამავალ ახალ მაგისტრალს უკავშირდება. ესტაკადის დღევანდელი გეგმარების ეს თავისებურება 2006 წელს სატრანსპორტო სქემაში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა (ე.წ. სამკუთხედმა ვარაზისხევი-კოსტავა-მელიქიშვილის ქუჩები) რომლებზეც ტრანსპორტის მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით გადაადგილება დაიშვა.

მოედნის სატრანსპორტო სქემის 0.00 ნიშნულს ზემოთ, გარკვეული მიმართულებების “მეორე სართულის” ატანით (თითქოს მიმართულებათა კონფლიქტის ასაცილებლად) მკაცრად რეგულირებული სატრანსპორტო კვანძი შეიქმნა, ანუ მოედნის რადიუსზე შემოსვლისას ნაკადები ექცევიან თვითრეგულირებად სივრცეში, სადაც რადიუსის გარშემო სვლით შემდგომი მიმართულების არჩევის თავისუფლებაა. ახალი მაგისტრალის სქემით კი, ნაკადების გადაწყობა და წინასწარ განსაზღვრული მიმართულების არჩევა საკვანძო წერტილში მოხვედრამდე უწევთ, რაც თავისთავად კვანძზე შემოსასვლელ ნაწილებში შეფერხებებს წარმოშობს. შემდგომ, არასწორი მარშრუტის არჩევის შემთხვევაში არსებული სქემა არ ითვალისწინებს (შეცდომის დაშვების უფლებას) ოპტიმალურ გზას მოედანზე უკან მოსახვედრად, სასურველი მიმართულების ასარჩევად.

ესტაკადების გაჩენის შედეგად ნაკადების კონფლიქტის აცილება კი არ მომხდარა, არამედ ამ სიტუაციის დუბლირება გამოიწვია, როგორც 0.00 ნიშნულზე, ასევე უშუალოდ ესტაკადაზე.

გმირთა მოედნის დღეს არსებული სქემა, მისი ფუნქციურ-გეგმარებითი სირთულეები წარმოქმნის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორს ტრანსპორტის მოძრაობის ქცევაზე.

და ბოლოს, **თბილისში გადაადგილების პრობლემების მოგვარებისთვის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ზოგადად ქალაქში საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის საჭიროა რეალური პრობლემების გამოვლენა, ანალიზი და სისტემური და თანმიმდევრული პოლიტიკა. მნიშვნელოვანია ინფორმაციის საჯაროობა მიმდინარე პროცესებში კვლევით, წინა საპროექტო, საპროექტო, სამშენებლო, ექსპლოატაციის და სხვა ეტაპებზე. ასევე პროფესიული და ფართო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესსზე გავლენის მოხდენის მიზნით.**

ამ ეტაპზე აუცილებელია გმირთა მოედნის ესტაკადა ტექნიკურად შემოწმდეს და დასკვნა დაიდოს. პრობლემა კომპლექსურია, ისევე, როგორც ურბანისტიკის დისციპლინაა კომპლექსური. ურბანისტიკა დისციპლინათაშორისი დარგია და დაწყებული სამართლით, ბევრ რამეს მოიცავს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ისიც, რომ გენერალურ გეგმაზე წყლის დაცვის ზოლი, რომელიც მდინარე ვერეს ეკუთვნოდა დატანილი არ იყო და კატეგორიულად აკრძალული არ იყო აქ მშენებლობები. უნდა აიკრძალოს ასეთი დაუსაბუთებელი ცვლა ზონებისა, რეკრეაციული იქნება ეს, საზოგადოებრივი, სატრანსპორტო თუ სხვა.

**მოცემულ შემთხვევაში, კი, გონივრულად უნდა გადაწყდეს დანგრეული გზის რეაბილიტაციის (თუ გაუქმების) საკითხი, აგრეთვე "მზიურის" ტერიტორიის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ზოოპარკის ტერიტორიის ათვისების მეთოდები, სატრანსპორტო კვანძის გამართვა ვაკის მეწყერსაშიშ ზონაში და სხვა. არსებული ტერიტორიის სწორად დაგეგმარების შემთხვევაში, მსგავსი კატასტროფა აღარ განმეორდება. წყალდიდობა შეიძლება მოხდეს. გადმოვა ნაპირებიდან მდინარე, დატბორავს ნაპირებს, მაგრამ, თუკი კალაპოტი გაფართოვდება, თავდაპირველ, ბუნებრივ სახეს მიუახლოვდება, მდინარის კინეტიკური ენერგია დაეცემა და დამანგრეველი ძალა არ ექნება. შესაძლებელია, ასევე, მდინარის ზედა წელში შესაბამის გეოლოგიურ გათვლებზე და დაგეგმვაზე დამყარებული ღონისძიებების გატარება – ტექნიკური ბადეების მოწყობა, რომლებიც შეაჩერებს ღვარცოფს, გამოატარებს მხოლოდ წყალს, დაუგდებს მდინარეს სიჩქარეს და ა.შ. კომპლექსური ღონისძიებები თუ დაყვება მდინარეს და მის მიმდებარე ტერიტორიებს, მაშინ, ეს რისკი მინიმუმამდე დაიწევს, ყოველ შემთხვევაში, მსგავსი კატასტროფა, როგორიც ახლა მოხდა, სრულიად გამორიცხული იქნება.**

ფოტო: ამირან ტორონჯაძე
და დემეტრე კაპანაძე
მოამზადა ნინო ლაღიძემ









# Explanations differ about what caused disastrous flood in Tbilisi

Tbilisi flood, which left at least many dead, as attention turns to what might have caused such a disaster. A handful of reasons have been given, which all may be grouped according to political affiliation.

The Environment Protection Ministry published a video which shows how the flood wave developed. Ministry representatives claim this is what happened early Sunday morning. The computer generated clip suggests that the disaster started with a landslide. On the right bank of the River Vera, close to the village Akhaldaba, on the Tskneti-Betania road, there was rock-fall type landslide. About a million cubic meters of solid soil mass fell down, which created a flow of debris which temporarily blocked the River Vere Valley. This was preceded by torrential rain and a hailstorm. Breakthrough of the water congestion resulted increase of the level of Vere, mudflow pass and flooding.

**CONTRIBUTING FACTORS**

While describing the reasons of the flood, experts talk of two types of issues - natural factors and urban and infrastructure factors. They agree that the major factor was strong rain that lasted for several hours, but meteorologists also say that in the past there has been even more rainfall, without such an amount of damage. But none of these prior incidents led to such grave results, which is why meteorologists explain that without contributing factors, the flood wouldn't have been as devastating. Landslide is a second factor which played a great role in this flood.

"The large volume of the landslide complicated things, as it blocked the Vere Valley. The river was blocked, and in fact, the dramatic results we witnessed was not because of the heavy rain but the enormous mudflow caused by the landslide," Rezo Getiashvili, from Caucasus Environmental NGO Network says.













river responded. The water and of course a mountain river always fights against impedance. The goal was incorrect, implemented and solved incorrectly, against nature, and we got an appropriate answer. Nature didn't forgive."

Art critic Marina Khatiashvili shares his opinion. She tells DF Watch that the Vere motorway project was rushed through. "It was of low quality, only planned for PR implemented for different expenditure and we got the result of it." She remembers the opinion of architect Koka Amirejibi, who recently passed away, and who had been strongly against this project due to the vast majority of reasons architects are speaking about today.

Irakli Maskharashvili, an influential Tbilisi architect, explains to us that the highway shouldn't have passed through River Vere.

"Secondly, it is dangerous directing a mountain river into artificial tunnels. They didn't take this into account and we are dealing with [the consequences of] this now."

## THE GOVERNMENT'S POSITION

We can list at least three reasons from the experts causing the disaster: a landslide caused damming of the water in the valley, the water broke out and washed away everything, the flooding of Vere without the landslide factor and an improperly planned infrastructure project. It is still too early to say which of the reasons was the real cause, that will require a lot more research.

Prime Minister Irakli Garibashvili said during a special meeting of the disaster team that he is ordering the relevant bodies to create a working group and start studying what caused the disaster. " It is necessary to determine the real reasons to avoid what happened in the future. We don't have a guarantee that it is not repeated. We have an obligation to study what happened and prevent it," he said. Research Results be published in September.

PHOTO BY AMIRAN TORONJADZE AND DEMETRE KAPANADZE



## THE ROLE OF INFRASTRUCTURE

Those are considered to be the reasons of the flood, but the discussion now mostly concerns the events that followed. Some specialists believe that the impact of the flood was amplified by infrastructure in this area. Others disagree, and in some cases claim that if not for the highway the results would have been even more serious. There is a range of opinions among geologists and architects.

Nino Chkhobadze, head of the Georgian Green Movement, tells DF Watch that when the estacade was constructed no one evaluated influence on environment and construction was launched before the research.

"When they were constructing the road, we claimed and still repeat now that it hadn't been properly planned. The risk had to be modeled, but they didn't do it. We were in a hurry to finish the construction and society was unable to take our demands into consideration," she says. She explains that the pipes weren't able to deal with the volume of water and June 13 was proof of this. "We got this tragedy as a result."

After analysing pictures shot from a helicopter, Rezo Getiashvili says that it seems that the river wasn't blocked by a landslide, because in those spots where the landslide was there is a green cover, which indicates that if the landslide slid down to the bottom and filled the river, the water would have washed away the trees, grass and bushes. "So we are dealing with ponding, which means that a large amount of water appeared and the volume of water could not pass properly, while the bandwidth of water was reduced since 2011. Of course, the landslide had a negative influence on this process, but this tragedy can be related more to a hydrological event. The infrastructure wasn't ready to pass a great amount of water flow with a mudflow," Getiashvili says.

Some architects also blame the tragedy on infrastructure. Architect Giga Batiashvili is among them.

"Of course, none of it was done properly and this caused the tragedy. A high-speed highway of course requires a linear path, but it required changing the river bed and directing it into tunnels. It required cutting the rocks and washing erosion sections. The

# მირზა შაფის ქუჩის განვითარების ესკიზურ პროექტი

მირზა შაფის ქუჩის განვითარების ესკიზურ პროექტზე თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და შპს „აპოლო გ.ს.“-ს მიერ გამოცხადებული ერთობლივი საჯარო კონკურსის გამარჯვებული გამოვლინდა.

სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ, რამდენიმესაათიანი განხილვის შემდეგ, საკონკურსო კომისიამ ღია კონკურსის ფორმით, ანონიმურობის პრინციპის დაცვით, გამოავლინა გამარჯვებული ესკიზური პროექტი, რომელიც არქიტექტურულ კომპანია „დემარკს“ ეკუთვნის (არქიტექტორი ვლადიმერ აბრამიშვილი). გამარჯვებული პროექტის ავტორი ინვესტორმა კომპანიამ 20 000 აშშ დოლარით დააჯილდოვა.

არქიტექტურის სამსახურის უფროსის თქმით, გარკვეული კორექტირების შემდეგ გამარჯვებული ესკიზური პროექტი მიიღებს საბოლოო სახეს და ისტორიული მირზა შაფის ქუჩის ტერიტორიაზე განხორციელდება. გამარჯვებული პროექტის უპირატესობებს შორის სივრცეების გადანაწილების თვალსაზრისით სწორი კონცეპტუალური მიდგომა სახელდება. „არქიტექტურული გადაწყვეტა არის სწორი, პროექტმა შეიძლება უზრუნველყოს ის, რაც მერიის შეხედულებითაც აუცილებელია – ეს არ უნდა იყოს დომინანტი ობიექტი იმ ტერიტორიისთვის, ეს უნდა იყოს რელიეფთან აბსოლუტურად შერწყმული ფონური შენობა,“- განაცხადა ნინო ლოლობერიძემ. მისი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ გამარჯვებულ პროექტს სწორი კონცეფცია აქვს, ამ მითითებების გათვალისწინებით პროექტი გადამუშავდება და გაივლის ყველა იმ პროცედურას, რომელიც განაშენიანების რეგულირების გეგმას სჭირდება შეთანხმებისთვის. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, კონკურსზე წარმოდგენილი ესკიზები თბილისის საკრებულოს ფოიეში მიმდინარე წლის 8 მაისს გამოიფინა. დამსწრე საზოგადოებას იქვე შეეძლო საკუთარი არჩევანის დაფიქსირება. აღსანიშნავია, რომ ხმათა უმეტესობა სწორედ გამარჯვებულმა პროექტმა დააგროვა. კონკურსის მიზანი იყო თბილისში, მირზა შაფის ქუჩის, კერძოდ, შპს „აპოლო გ.ს.“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განვითარების ქალაქგეგმარებითი, სივრცითი და მოცულობითი საუკეთესო გადაწყვეტის გამოვლენა. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ნებისმიერ არქიტექტორს, ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ასევე, სხვა ქვეყნის მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს. კონკურსის მიმართ დაინტერესება საკმაოდ დიდი იყო, თუმცა, საკონკურსო პირობები მხოლოდ 9 მონაწილემ დააკმაყოფილა. შემოსული განაცხადებიდან საკონკურსო კომისიამ 3 საუკეთესო ესკიზური პროექტი გამოავლინა, საიდანაც ერთმა ნამუშევარმა გაიმარჯვა. კომისიის შემადგენლობაში თბილისის მერიის წარმომადგენლების გარდა, იყვნენ საჯარო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.











# Winner project for “Mirza-Shafi” Street Developmen

The projects were presented by nine architects.

The project envisages the construction of a shopping and hotel complex in the vicinity of the Bath area. A company named Demarki was declared winner of the tender for the project of developing Mirza Shafi Street. Though, as the investor said, the project’s appearance will be finalized only after certain corrections are made.




თორნიკე აბულაძე. საბრძოლო ხელოვნების სკოლა

# არქიტექტურის საერთაშორისო ფორუმი "ინტერარქი-2015"

## ქართველი არქიტექტორების ტრიუმფი

ბულგარეთის დედაქალაქმა სოფიამ, წელს, მეთოთხმეტედ უმასპინძლა უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ფორუმს – არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალეს. ტრიენალე მსოფლიო არქიტექტურის სამი წლის მონაგარის შეჯამებაა. საერთაშორისო ჟიური ავლენს საუკეთესო ნაწარმოებებს (პროექტები, რეალიზაცია), არქიტექტურულ წიგნებსა და ჟურნალებს, საუკეთესო სამაგისტრო და საბაკალავრო დიპლომებს. ასევე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსები ერთობლივი გამოფენით აბარებენ „ანგარიშს“.

ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმში, რომელიც 1983 წლიდან იღებს სათავეს, მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარგზავნილი ქართველი არქირტექტორებიც, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, ასევე სტუ-ს და თსსა-ს სტუდენტები.

ტრიენალეზე სტუდენტური სადიპლომო პროექტების კონკურსში წარმოდგენილი იყო 80 პროექტი. სასიხარულოა, რომ ტრიენალეს დიდი ვერცხლის მედლით და საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა ჩვენი არქიტექტურული სკოლის მაგისტრანტი თორნიკე აბულაძე პროექტისათვის „ქართული საბრძოლო ხელოვნების სკოლა“, ხოლო მაგისტრანტ ანა ბიბილაშვილს პროექტისათვის „მრავალფუნქციური ცათამბჯენი“ გადაეცა სერვანტესის ინსტიტუტის სპეციალური პრემია და საპატიო დიპლომი. ასევე, საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის 6 სტუდენტის სადიპლომო პროექტებიდან ორმა მიიღო პრიზი: „ინტერარქ“-ის მე-2 პრიზი ვერცხლის მედალი და საპატიო დიპლომი პროექტისთვის „არქიტექტურის სკოლა“ - სტუდენტი მარეხ გორგილაძე, ხელმძღვანელი: ბაია ჩხიკვიშვილი; „ინტერარქ“-ის ვერცხლის მედალი და საპატიო დიპლომი და არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის სპეციალური პრიზი - „books and WAM magazines“ პროექტისთვის „ქ. თბილისში საჯარო სარეკრეაციო -კულტურული სივრცე მდინარე მტკვრის სანაპიროზე“- სტუდენტი ნიკა ბოჭორიშვილი, ხელმძღვანელი: ნანა ქუთათელაძე, ზურაბ ნემსაძე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველ არქიტექტორ-რესტავრატორს მიხეილ გელაშვილს და კონსტრუქტორს ზურაბ გაჩეჩილაძეს „მრავალძალის წმინდა გიორგის ტაძრის“ რესტავრაციისათვის მიენიჭათ 2015 წლის **ევროპული კულტურის დედაქალაქად აღიარებული** ფრანგული ისტორიული ქალაქის – მონსის მერის მიერ დაწესებული პრემია.

პირველი პრემია მიენიჭა აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას ორ პროექტს – „ხელოვნების ცენტრ „მთაწმინდა“-ს რეკონსტრუქცია-გაფართოება და მემორიალს „არა – ომს“.

განსაკუთრებით სასიხარულოა ბატონ გია ჯოხთაბერიძის იდეით განხორციელებული, გამომცემლობა „სეზანის“ მიერ გამოცემული საავტორო წიგნის – „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა. ფერწერა. გრაფიკა“–ს წარმატება. წიგნმა მიიღო ორი პრემია – არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის სპეციალური პრემია და ვერცხლის მედალი, ასევე ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის პრემია. ასეთივე პრემია და საპატიო დიპლომი გადაეცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 90-წლიანი ისტორიის და თანამედროვეობის ამსახველ კატალოგს, რომელიც პროფესორ გოჩა მიქიაშვილის ხელმძღვანელობით არქიტექტურის ფაკულტეტის თანამშრომელთა მრავალწლიანი შრომის შედეგია. სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ასევე გადაეცა საპატიო დიპლომი „სტუდენტური ნამუშევრების მაღალი დონისათვის“.

ამ ფორუმზე ცნობილი ახალგაზრდა არქიტექტორი გიორგი ხმალაძე არჩეულ იქნა არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორად. ეს ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი აღიარებაა.

აი, მოკლედ ის „ნადავლი“, რითაც ქართული დელეგაცია დაბრუნდა სოფიიდან. უცხოელი კოლეგების მიერ „ინტეარქი-2015“-ის „ქართულ ტრიენალად“ მონათვლა, როგორც ჩანს არც თუ უსაფუძვლო იყო.

უმნიშვნელოვანესი იყო აგრეთვე ის შეხვედრები, საუბრები, ატმოსფერო, რომელიც თან ახლავს ასეთ მნიშვნელოვან ფორუმს. საავტორო გამოსვლებიდან განსაკუთრებული იყო იაპონელი ფუმიჰიკო მაკის, იტალიელი მასიმილიანო ფუქსასის, მალტელი რიჩარდ ინგლანდის, შვედი პიტერ პრანის, ჰოლანდიელი ერიკ ვან ეგერატის, რუსი ალექსანდრე კუდრიავცევის,










ᲛᲐᲠᲔᲮ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ



ᲜᲘᲙᲐ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ















მექსიკელი ფრანცისკო სირანოს, ქართველი ვახტანგ დავითაიას, ამერიკელი მაიკლ ჯონსონის გამოსვლები.

ამ დიდ საერთაშორისო ფორუმზე არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის გარდა მსოფლიოს მრავალი ცნობილი ქალაქის ხელმძღვანელობა ანიჭებს მათ მიერ დაწესებულ პრემიებს გამორჩეულ არქიტექტურულ ნაწარმოებებს და მათ ავტორებს. ეს რა თქმა უნდა საკუთარი ქალაქის პოპულარიზაციის გარკვეულ მუხტსაც ატარებს. ტრიენალეზე ჩვენი დედაქალაქის პრემია ენიჭება „ტრადიციისა და თანამედროვეობის“ თვალსაზრისით საუკეთესო პროექტის ან რეალიზაციის ავტორს. ეს ნომინაცია თბილისის ნიშაა. ამჯერად „თბილისის პრემია“ მიენიჭა გამოჩენილ მალტელ არქიტექტორს რიჩარდ ინგლანდს. ბატონი რიჩარდ ინგლანდი მესამედ გახდა „თბილისის პრემიის“ ლაურეატი. ჩვენთვის დიდი პატივი იქნება თუ ბატონი რიჩარდ ინგლანდი მიიღებს ჩვენს შეთავაზებას და თბილისს რამდენიმე დღით ეწვევა. მისი შეხვედრა ქართველ არქიტექტორებთან, საავტორო ჩვენება, ლექცია, სტუდენტური „ვორკშოპი“ უაღრესად სასარგებლო იქნება ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

ტრიენალეზე მოხდა აკადემიის უმაღლესი ჯილდოების გადაცემა – ბროლის გლობუსის და „წლის არქიტექტორის“ დაჯილდოება, ასევე ახლად არჩეული აკადემიკოსების და პროფესორებისათვის მედლების და დიპლომები საზეიმო გადაცემა. ბროლის გლობუსის მფლობელი გახდა, ჩვენთვის კარგად ცნობილი იტალიელი არქიტექტორი, თბილისის იუსტიციის სახლის ავტორი, მასიმილიანო ფუქსასი, ხოლო „წლის არქიტექტორი“ გახდა ნიუ-იორკში, ტერორისტების მიერ განადგურებული ორი ცათამბჯენის ადგილას აგებული ახალი ცათამბჯენის ავტორი, თანამედროვე არქიტექტურის კლასიკოსი, იაპონელი ფუმიჰიკო მაკი.

ვენეციის ბიენალე

BIENNALE DI VENEZIA

# ქართული პავილიონის გახსნა ვენეციის ბიენალეზე

8 მაისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ვენეციის 56-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე, ქართული ნაციონალური პავილიონი გაიხსნა. ცერემონიას, ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეს, ქართველი კომისარი - ანა რაბოშენკო, იტალიის საელჩოს წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ქართულმა პროექტმა უცხოელ დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეს ოფიციალური გახსნის ცერემონია 9 მაისს შედგა.

2015 წლის ვენეციის 56-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაზე, საქართველოს სახელით პროექტი „მცოცავი საზღვარი“ იქნა წარმოდგენილი. პროექტის კურატორია - ნია მგალობლიშვილი, არტისტები - რუსუდან გობეჯიშვილი, ირაკლი ბლუიშვილი, ნია მგალობლიშვილი, სოფია შევარდნაძე, ია ლიპარტელიანი და ჯოზეფ საბია.

პროექტი წარმოადგენს სხვადასხვა საკნისგან შემდგარ სისტემურ ჯაჭვს. ის ინტერაქტიულია. მის შინაარსს წარმოადგენს „საზღვარი, როგორც გეოგრაფიული დანაწევრების სისტემა და ამავდროულად, როგორც ცნობიერების მართვის ინსტრუმენტი, რომელიც განიცდის ევოლუციას საზოგადოების ცნობიერებასთან ერთად - დავამსხვრიოთ საზღვრები ცნობიერებაში და დავინახოთ მსოფლიო საზღვრების გარეშე და პირიქით“.

ვენეციის 56-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა იტალიაში 2015 წელს 9 მაისიდან 22 ნოემბრამდე გაიმართება, - ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეს ერთ-ერთ მთავარ საგამოფენო სივრცეში - „არსენალეზეა“ განთავსებული.

ვენეციის ბიენალეს წლევანდელი თემაა „მომავალი სამყაროს მრავალფეროვნება (All the world’s futures)”.






























Ministry of Culture and Monument protection of Georgia is honored to invite you to attend the opening reception of the exhibition CRAWLING BORDER an official inauguration of National Pavilion

at the 56th International Art Exhibition la Biennale di Venezia.

2015. Thursday, May 8th, 5 pm

Pavilion at Arsenale - Sale d'Armi, 30122 Venice.

RusudanKhizanishvili, IaLiparteliani, Sophio Shevardnadze, IrakliBluishvili, Dimitri Chikvaidze, Joseph Sabia

Curator: Nia Mgaloblishvili

Commissioner: Ana Riaboshenko

CRAWLING BORDER is the reality, which Georgia and other post-Soviet countries are confronted with and which owes its existence to the country's geopolitical position.

Georgia's pavilion aims to highlight this reality to a maximum extent and to make a certain intervention in one of the most important platforms for contemporary art. It serves as a political and social message bringing a kind of dissonance into the current political landscape of Europe.

The main concept is a narrative of events structured as a DNA chain analogy, which exists in its usual environment and often remains unnoticed before it is impacted by provoking external factors.

Crawling Border is primarily associated with the drawing of borders in a stealthy manner, and the personal tragedy of many people behind it often escapes our attention.

Visitors to the pavilion can take as close a look as possible at the existing reality. In a mirrored room they will be able to put the mselves in the place of those who had to come through the ordeal. The Kunstkamera – an observatory of memories is a place, which, like the subconscious, contains layers of fragments from the past: personal histories and memories, and faces of children living in the territories adjacent to the occupation line – faces, which have already become a blur and continue to be disregarded…

The installation eventually takes on an ironic aspect and is transformed into a puzzle – a puzzle a clue to which is discovered only in the last cell, which symbolizes the reality eternally and purposelessly turning around in a circle.

Visitors finding themselves locked within the construction feel discomfort and out of tune with their surroundings, which serves the goal of bringing them closer to the situation in Georgia and in other countries as well.

# იყალთოს ქვევრის პირველი სკოლა-სახელოსნო

## იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნოს საძირკველი აკურთხეს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნოს მშენებლობას ახორციელებს.

ტერიტორიაზე, სადაც "ქვევრის სახლი" უნდა აშენდეს კაფსულა ჩაიდო. ალავერდის მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა სამშენებლო მოედნის საძირკველი აკურთხა. ქვევრის სკოლა-სახელოსნო იყალთოს მონასტერთან ახლოს შენდება და მისი ღირებულება 2 290366,37 ლარია. მშენებლობა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის განხორციელების მიზანია ქვევრის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენა და სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება.

კაფსულის ჩადებასა და საძირკვლის კურთხევას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ილია დარჩიაშვილი და მისი პირველი მოადგილე ჯუანშერ ბურჭულაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ,საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ალავერდის მიტროპოლიტი მეუფე დავითი ესწრებოდნენ.







ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციის პოპულარიზაცია საუკუნეებს მოითვლის და ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში. ქვევრში ღვინის დაყენების ეს უძველესი ტრადიცია განაპირობებს ღვინის განსაკუთრებულ არომატს და გემოს. ღვინის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენის მიზნით, ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის, რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოქმედი, პოლიტიკის შესაბამისად, გადაწყდა და დამტკიცდა „ქვევრის სახლის" - სკოლის დაფუძნება, რისთვისაც შერჩეული იქნა ტერიტორია სოფელ იყალთოში. „ქვევრის სახლისთვის" გამოყოფილ ტერიტორიაზე არსებობს ყველა წინაპირობა, რათა მოეწყოს საერთაშორისო კლასის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და დღევანდელი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-სამეწარმეო და კულტურული ცენტრი. „ქვევრის სახლი" იყალთოს სამონასტრო კომპლექსის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეგმარებითი და სტრუქტურული ნაწილი გახდება, იგულისხმება „ოქროს გზა". ეს ხელს შეუწყობს სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებო ფუნქციების განვითარებას. ასევე არსებული უბნის გამოცოცხლებას, მის აქტიურ საზოგადოებრივ ზონად გადაქცევას, რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე. „ქვევრის სახლის"-სკოლის სამშენებლო მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, კახეთის რეგიონში. ტერიტორია მდებარეობს თელავი-ახმეტის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, იყალთოს აკადემიაში მისასვლელი გზის მიმდებარედ. თელავის მუნიციპალიტეტში მრავალი მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გვხვდება. სოფელ იყალთოში რამოდენიმე ათეული მცირე და საშუალო ზომის ეკლესიაა. ერთ-ერთი გამორჩეული და უნიკალურია წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაა, რომელიც მდებარეობს სამშენებლო მოედნის მიმდებარედ. ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც







მდებარეობს პროექტის ტერიტორიის მახლობლად არის იყალთოს მონასტერი.

სამშენებლო მოედანი დაახლოებით 2 კმ-ითაა დაშორებული იყალთოს მონასტრიდან. ვინაიდან იყალთოს მონასტერის ტერიტორია მდებარეობს პროეტისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემდეგ და სამშენებლო მოედნიდან საკმაოდ მოშორებით, "ქვევრის სახლი" არ იქნება ხილული მონასტრის ტერიტორიიდან და უარყოფითად არ იმოქმედებს მის ესთეტიურ ღირებულებაზე.

საპროექტო ტერტორიაზე განლაგებული იყო ძველი შენობები, რომელთა დემონტაჟიც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდა და რადგან, ძველი შენობა-ნაგებობები აშენებული იყო ქართული აგურით, ხოლო გადახურვა მოწყობილი - ქართული კრამიტით, დემონტაჟისას, დასაშლელი სამუშაოები წარიმართა - ზოგიერთი მოხსნილი მასალა (აგური, კრამიტი, ხის მასალა და ა.შ) გასუფთავდა, გაიწმინდა, დახარისხდა და დაეწყო შტაბელებად სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში. ძველი სამშენებლო მასალების უმეტესი ნაწილის გამოყენება დაგეგმილია "ქვევრის სახლის" მშენებლობისას.

,,ქვევრის სახლი‘‘ - სკოლა კომპლექსურ ნაგებობათა ტიპს განეკუთვნება და თავის თავში აერთიანებს სამ ძირითად კომპონენტს: კულტურულ-საგანმანათლებო, საწარმოო და ტურისტულ-რეკრეაციულს. სკოლაში გამოცდილი სპეციალისტების თანადგომით ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან შეისწავლიან, არა მარტო ქვევრის დამზადების ტრადიციულ წესს, არამედ ძველი ქართული სასმისების და ღვინის ჭურჭლების დამზადების მეთოდებს. მსურველთათვის ჩატარდება სალექციო კურსები და პრაქტიკული მეცადინოებები, ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით. სკოლის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ქართული კერამიკული წარმოების პოპულარიზაციას. არ არის გამორიცხული აღდგეს ძველი ქართული აგურის წარმოება, შესაძლებელია სარესტავრაციო სამუშაოებისთვის გარკვეული კერამიკული დეტალების დამზადება. ეს, ყოველივე, სასარგებლო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის; ხელს შეუწყობს სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებო ფუნქციების განვითარებას. ასევე არსებული დასახლებული პუნქტის გამოცოცხლებას, მის აქტიურ საზოგადოებრივ ზონად გადაქცევას.

პროექტის განხორციელება დადებითად იმოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე, ქვევრის სკოლის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე სამუშაო ადგილების შექმნის გზით. ის ხელს შეუწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის კერძო სექტორში ინვესტიციების მოზიდვას (სასტუმროები, რესტორნები, მაღაზიები, გასართობი ცენტრები და ა.შ.).

სოფელ იყალთოში "ქვევრის სკოლის" მშენებლობის პროექტი წარმოადგენს რეგიონული განვითარების პროგრამის ნაწილს, რომელიც მომზადდა, განიხილული იქნა, დამტკიცდა და განხორციელდება ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის, რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოქმედი, პოლიტიკის შესაბამისად.

პროექტის განხორციელების ხელშემწყობი და ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან: საქართველოს მთავრობა, რომელიც წარმოგენილია ფინანსთა სამინისტროს სახით, თელავის მუნიციპალიტეტი. დაფინანსების წყაროები: მსოფლიო ბანკი და მუნიციპალური მმართველობა/საქართველოს მთავრობა. განმახორციელებელი ორგანიზაცია - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

შენობის პროექტის ავტორია - არქიტექტურული კომპანია - ,,სტუდია 4,,. სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს სამშენებლო კომპანია - ,,დაგი‘‘.

ახალი შენობა 3 სართულიანი იქნება, მართკუთხა ფორმის, აივნების და ლოჯიების გარეშე, ორი კიბის უჯრედით. სართულის საშუალო სიმაღლე 3.40 მ. არ ექნება სარდაფი. შენობა იქნება კარკასული ტიპის, კედლები შეივსება ბლოკით, ყორე ქვით და მოპირკეთდე-







ბა ქართული აგურით. გადახურვა მოეწყობა კრამიტით.

საწარმოო ნაწილი ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე იყოფა სამ ძირითად ნაწილად: 1. თიხის მოსამზადებელი და შესანახი საამქრო. 2. ქვევრის გამოსაწვავი ძირითადი ღუმელი, რომელშიც ერთდროულად ოთხი ქვევრის გამოწვა იქნება შესაძლებელი. 3. ქვევრის დასამზადებელი საამქრო, რომელიც ვიტრაჟით გაიმიჯნება სადეგუსტაციო დარბაზს, საიდანაც მოხდება ქვევრის მშენებლობის პროცესის დაკვირვება. ეს მნახველისთვის ერთგვარ ჩართულობას გამოიწვევს ქვევრის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში. ასევე მსურველებს შესაძლებლობა მიეცემათ თავად მიიღონ მონაწილეობა თიხის სხვადასხვა ნაკეთობების დამზადებაში. სადეგუსტაციო დარბაზს ესაზღვრება ჰოლი და სველი წერტილები. პირველ სართულზე განთავსდება ჭურჭლის სამრეცხაო და ბარის დამხმარე სათავსოები, რომლებიც დაუკავშირდება, როგორც დარბაზიდან, ასევე შესაძლებელი იქნება დამოუკიდებელი შემოსასვლელიდან შესვლა.

სადეგუსტაციო დარბაზიდან კიბის საშუალებით ასვლა შესაძლებელი იქნება შენობის მეორე სართულზე, სადაც განლაგდება ოფისები და მუზეუმი. მცირე საგამოფენო დარბაზი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის დამთვალიერებელს ქართული კერამიკის წარმომავლობაზე და თვითმყოფადობაზე. ღია ტერასა, რომელიც დაუკავშირდება საგამოფენო სივრცეს, წარმოადგენს ქვევრის დასამზადებელი და გამოსაწვავი საამქროების ზედა დონეს, სადაც მოეწყობა ღია მუზეუმი და საზაფხულო სასწავლო გამოფენა-გაკვეთილები. ტერასიდან ლითონის კიბის საშუალებით შესაძლებელი იქნება ეზოში მოხვედრა, სადაც მოხდება თიხის მიღება, ბუნკერებში დახარისხება და გამომშვარი ქვევრების დასაწყობება.

მუზეუმი კიბის საშუალებით დაუკავშირდება მასში გამომავალ ანტრესოლს, სადაც განთავსდება ბიბლიოთეკა და დიზაინერის სამუშაო სივრცე მცირე სათათბიროსთან ერთად. ბიბლიოთეკიდან ტერასაზე ჩასვლა შესაძლებელი იქნება კიბის საშუალებით, სადაც მოეწყობა პერგოლა და სარეკრეაციო ზონა.

საწარმოში დაცული იქნება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (ტუალეტები, საშხაპეები, გარდერობები). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წარმოების უსაფრთხოების ზომებს.

ფასადები მოპირკეთდება ქართული აგურით. შიდა ეზოში კი ფასადები შეილესება ქ/ც ხსნარით და შეიღებება ფასადის საღებავით. ცენტრალურ შესასვლელში მოეწყობა პანდუსი უნარშეზღუდულთათვის.

შენობის მხატვრული იერსახის გადაწყვეტა ნაწილობრივ მისმა ტექნოლოგიურმა სპეციფიკამ განაპირობა. გამოყენებულია კახეთის რეგიონისთვის დამახასიათებელი ადაპტირებული სამშენებლო სისტემა და ეთნიკური საცხოვრებლისთვის ტრადიციული ელემენტები (ყორე-ქვა, ქართული აგური). დემონტაჟის დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული არსებული სამშენებლო მასალა მისი შემდგომი გამოყენების მიზნით.

შენობის ირგვლივ არსებული ტერიტორიის საფარი შეიცვლება ნაწილობრივ, დანარჩენ ნაწილზე მოეწყობა გამწვანება. ქუჩის მხარეს მოეწყობა ღია ავტოსადგომები, რომლებიც მოპირკეთდება დეკორეტიული ფილებით, სამანქანო გზები გამოიყოფა ბეტონის ბორდიურებით. ტეროტორიიდან წვიმის წყლის გადაყვანა ხდება გზებზე მოწყობილი ბუნებრივი ქანობებით.

„ქვევრის სახლის“ განთავსების ტერიტორიის და დიზაინის შერჩევის პროცესში კონსულტაციებში ჩართული იყვნენ საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ეკლესიის წარმომადგენლები სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად. ალავერდის ეპარქიის (ამ ეპარქიას ეკუთვნის სოფელ იყალთო და ყველა ეკლესია მის ტერიტორიაზე) აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი უშუალოდ მონაწილეობდა შეხვედრებში, მოლაპარაკებებში და „ქვევრის სახლის“ არქიტექტურული პროექტის გადაწყვეტაში.

ნინო ლალიძე



# The Qvevri school of Ikalto

**QVEVRI HOUSE TO PROMOTE ANCIENT GEORGIAN WINE MAKING CUSTOM**

A new multi-million GEL facility is being built in Georgia's Kakheti region to restore the country's ancient winemaking tradition and develop the region's historic, cultural, educational, recreational and touristic potential.

The main purpose of the SP is popularization of one of the old Georgian tradition of wine making in Qvevri counting centuries.

Making wine in Qvevri, determines special flavor, taste and velvet feeling of the wine. Restoration of traditional Qvevri making methods and creation of a Qvevri House school was decided and Village Ikalto has been selected for setting up the school. The territory given to "Qvevri House" has all the preconditions to create a learning-manufacturing (workshop) and cultural center that will be equipped with high-class modern technologies.

Access to the construction sites from Tbilisi is possible through Tbilisi-Telavi-Akhmeta motorway and distance from Tbilisi is approximately 110 km.





*Author of Project: Studio 4 Architectural Company*
*Alaverdi Metropolitan David's direct participation*

The Sub-project (SP) envisages construction of the new Qvevri House in village Ikalto of Telavi municipality, Kakheti Region. The main purpose of the SP is popularization of one of the old Georgian tradition of wine making in Qvevri counting centuries. Making wine in Qvevri, determines special flavor, taste and velvet feeling of the wine. Restoration of traditional Qvevri making methods and creation of a Qvevris-Sakhli (Qvevri House) school was decided and Village Ikalto has been selected for setting up the school. The territory given to "Qvevri House" has all the preconditions to create a learning-manufacturing (workshop) and cultural center that will be equipped with high-class modern technologies. The goal of the present SP is to turn the Qvevri House into the structural part of Ikalto Monastery complex and its adjacent territory, implying to the Gold Road. This will help to develop historical-cultural, tourist-recreational and educational functions of the village Ikalto. It will also help to revive the neighborhood and transform it into an active public zone, on top of employment opportunities for local residents.

The SP site is located in the Eastern part of Georgia. Access to the construction sites from Tbilisi is possible through Tbilisi-Telavi-Akhmeta motorway and distance from Tbilisi is approximately 110 km. The 5407.55 m2 area of the land plots (Cadastral Codes 53.12.35.108; 53.12.35.064

and53.12.35.064) have been allotted for construction of "Qvevri House" by Telavi Municipality

Sakrebulo (Council). There are buildings located on these plots, which will be demolished prior to commencement of construction works. These buildings have been constructed in the 40th early years of the 20th century and were used as residential housing in the past. The buildings were in use by the local collective farm and were the State property. The Soviet-time members of the collective farmers and their families lived in these buildings. Only one man, a son of the former collective farmer, lives in one of these buildings and needs relocation from his current place of residence. The affected person will be fully compensated.

The buildings are constructed using Georgian break and for roofing. According to the demolition plan, it is desirable to perform demolition of the building by hand. As it is recommended dismantling will take place within the temporarily fenced area, some construction materials (such as bricks, timber and any others fit for re-use) shall be diverted out of the waste, peeled and stored separately on the site. The most part of old materials will be re-used during construction works of the Qvevri House. The territory is characterized by sloped topography. The average elevation makes 640 m above sea level.

The Qvevri House school will be a complex type building, combining three main components:

cultural-educational, manufacturing, and tourist-recreational. Guided by experienced specialists, the school students from various regions of Georgia will be taught not only traditional way of Qvevri making, but also various methods of making old Georgian drinking pottery and wine vessels. In order to learn traditional and modern methods, lecture courses and practical classes will be held for all interested persons. Georgian ceramic manufacturing will be popularized. It is not ruled out that manufacturing of old Georgian brick will also be revived. Making various ceramic details for restoration works is also possible.

NINO LAGHIDZE







# მაწვნის სახლი

პროექტის - "ოქროს გზის" - ფარგლებში, ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე
პროექტის ავტორი: არქიტექტურული კომპანია: "სტუდია 4"

კახეთის განვითარების პროექტის ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ალავერდის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები დაასრულა, პროექტის ფარგლებში აშენდა და აღიჭურვა „მაწვნის სახლი“, რომელიც ალავერდის მონასტრის მიმდებარედ, თუშეთის დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული, რეგიონული განვითარების პროექტის ერთ-ერთი მიზანია წვლილი შეიტანოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებაში და ხელი შეუწყოს საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. თუშეთის დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალ ტურისტებს, „მაწვნის სახლის“ და მთლიანად, ალავერდის სამონასტრო მეურნეობის საშუალებით, შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ თუშეთისა და კახეთის ძირძველ ტრადიციებს.

პროექტის ძირითადი ბენეფიციარები კახეთის მოსახლეობა და რეგიონში ჩასული ტურისტები არიან, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ გაუმჯობესებულ პირობებში გაეცნონ რეაბილიტირებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და ისარგებლონ ძეგლების მიმდებარედ გამართული ინფრასტრუქტურით.

„მაწვნის სახლის“ აშენების მთავარი მიზანი ქართული ძირძველი ტრადიციების შენარჩუნებაა, სადაც ბუნებრივ დედოზე დამზადებული მაწონი, ხავიწი, ალავერდის მეფუტკრეთა თაფლი, ბუნებრივ საფუარზე დამზადებული ქართული ხორბლის შოთის პური, ადგილობრივი წარმოების გუდის ყველი და ქვევრის ღვინის წარმოება ხდება. ქვევრის ღვინოს დაყენების უძველეს მეთოდს, იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უკვე მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ „მაწვნის სახლში“ უკვე დასაქმებულია ალავერდის მონასტრის მრევლი და ადგილობრივი მოსახლეობა.

„მაწვნის სახლი“ კახეთის განვითარების პროექტით გათვალისწინებული პირველი დასრულებული ობიექტია იმ 10 ობიექტიდან, რომელთა დასრულება 2015 წლის ბოლომდეა დაგეგმილი.

ფოტო: გია ჭანჭალეიშვილი
"სტუდია 4"























# Matsoni house

*Under the "Golden Road" Project in the Alaverdi Monastery Area*
*Author of Project: Studio 4 - Architectural Company*

Under Kakheti Regional Development Project, the Municipal Development Fund of Georgia has completed construction of tourist infrastructure by the Alaverdi Cultural Heritage Monument, the project has provided for construction and equipment of "Matsvnis Sakhli", which is located in the Alaverdi Monastry adjacent area, on the way to Tusheti Protected Areas.

One of the objectives of the WB funded Regional Development Project is to contribute to preservation of tangible and intangible cultural heritage monuments and promote development of tourism infrastructure in Georgia. On the way to Tusheti Protected Areas, with assistance of "Matsvnis Sakhli" and Alaverdi Monastery hearth, tourists will have possibility to get familiar with ancient traditions of Tusheti and Kakheti.

Main beneficiaries of the project are population of Kakheti and tourists visiting the Region, which will be enabled to make the acquaintance of the rehabilitated cultural heritage monuments in the enhanced setting and benefit from the infrastructure arranged in the vicinity of monuments.

"Matsvnis Sakhli" construction project aims at preservation of ancient Georgian traditions, like Matsoni prepared with natural mother solution, Khavitsi (Tushetian cottage cheese-butter), honey from Alaverdi beekeepers, Georgian national wheat bread baked with natural yeast, locally produced Guda Cheese and Kvevri (earthenware vessel) wine. Traditional method of winemaking in Kvevri has already been awarded an intangible cultural heritage monument status by UNESCO.

It is notable that congregation of Alaverdi Monastery and the local population is already employed in "Matsvnis Sakhli". After commencement of full scale operations, number of employees will exceed 30.

Under the Kakheti RDP, "Matsvnis Sakhli" is the first completed project out of those 10 project sites, whose completion is expected before the end of 2015.

PHOTO BY GIA CHANCHALEISHVILI. "STUDIO 4"


















ინტერიერი
INTERIOR

# საცხოვრებელი სივრცის



# ინდუსტრიული დიზაინი





პროექტის ავტორი: მაია წერეთელი

მოგეხსენებათ, ინტერიერზე მუშაობისას, იდეის განხორციელების პროცესში, შედეგი, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ, მაინც განსხვავდება საწყისი ჩანაფიქრისაგან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში დიზაინერის მიერ შექმნილი ,,ინდუსტრიული,, საცხოვრებელი სივრცის რეალიზაცია შედგა - მაქსიმალურად გამოვლინდა ავტორის გემოვნება და პროფესიონალიზმი.

საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბება-გაფორმების ძირითადი იდეა, ფუნქციურად სხვადასხვა ზონების ეფექტურ გადანაწილებაში მდგომარეობს. თავისი გამომხატველობით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სათავსოები საცხოვრებელი მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. აქ მოხვედრისას, სტუმარს, საკუთარი „მერკანტილური" საკითხების გარკვევამდე, ამაღლებული, თბილი განწყობა ეუფლება, რაც, კვლავ, აქ მოსვლის სურვილს ბადებს.

ინტერიერში თითოეულ ნიუანსს ის ადგილი აქვს მიჩენილი, საიდანაც იგი საუკეთესო სახით აღიქმება. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, დიზაინერის შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მთლიანობაში, კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას საცხოვრებელი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი.

ფოტოგრაფი: რაფაელ არზუმანოვი


LIFE
is good
at the
BEACH
01
POST
GATU20
11106







# The industrial Design of Living Space

*Author: Maia Tsereteli*

Realization stage of interior design often yields certain deviations from the initial

ideas. However in this particular case the industrial interior created by designer Maia Tsereteli is absolutely identical to its first version, revealing the author's professionalism at its best.

The key highlight of this residential interior is efficient development of design theme from zone to zone. The spaces with their original architectonics integrate into an utterly comfortable living environment. A visitor entering this apartment perceives its positive, pacifying atmosphere from the very first step and feels an urge to visit the place again and again.





Every detail in the interior is positioned so as to stand out with most efficiency. Approach toward shapes, textures and colours clearly expresses the designer's artistic principles and perfect taste. On the whole, the author's interesting and original solutions aim to achieve one and only goal - to create a living environment, guaranteeing comfortable and tasteful life.

PHOTOS BY RAFAEL ARZUMANOV















# რუმ დიზაინი



თბილისში ახლად გახსნილი კონცეპტუალური სტილის შოურუმის "რუმ დიზაინის" ინტერიერი არქიტექტორ ნინო მანჯავიძის პროექტით შეიქმნა.

მოცემულ სივრცეში (რომელიც, თავდაპირველად, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს და უსახურ სარდაფს წარმოადგენდა) მაღალი ხარისხის ბრენდების წარმოჩენისას შესაბამისი დადებითი განწყობის შესაქმნელად, პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შეიქმნა. მისი სტილი ისევე როგორც თავად ბრენდული კოლექციები თავისუფალია.

საზოგადოებრივ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში მუდმივად ცვალებადი პროდუქციის არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს შოურუმის ფასადი, რომელიც თავისი დახვეწილი არქიტექტონიკით სრულიად "უხილავს" ქმნის არსებულ ფონს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დამოუკიდებლად მდგარ შენობაში შედიხარ.

ავტორის ძალისხმევით, "რუმ დიზაინში" აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა. მისი დიზაინი დახვეწილი გემოვნების და შესაბამისი ინტელექტუალურ-ურბანული მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე

ფოტო: რაფაელ არზუმანოვი














ROOM
DESIGN










DESIGN













# Room Design



Interior of conceptual design of Showroom Room Design, newly launched in Tbilisi, has been designed by architect Nino Manjavidze.

This space initially it was a First floor and dilapidated basement of Residential Building at the Saburtalo. To create a positive environment, required for promotion of high quality brands, the designers created a modern interior space with clear-cut architectural graphics, original choice of furniture and contrasting colors. The style of the shop interior - is as free and uninhibited as that of the products it features.

Unexpected design touches add lightness and comfort to the public space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts; on the contrary, their diversity leaves the impression of weightlessness. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior and highlight originality of constantly changing collections exhibited on the shelves and racks.

The facade of showroom Is the most exceptional. It overshadows the background and formed Impression T\that is independent of the building. The author have succeeded in designing a highly comfortable space of Room Design, standing as a proof to their refined taste and urban thinking.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: RAFAEL ARZUMANOV















# უზადო დიზაინი



ავტორი: შორენა ნიღოსანი

საცხოვრებელი სივრცის სწორად ორგანიზება, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, ინტერიერის საერთო სტილისტური გადაწყვეტის შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები - თითოეულ მოცემულ ამოცანას, ორიგინალური იდეებითა და მათი წარმატებულად განხორციელებით, დიზაინერი წყვეტს. უზადო დიზაინი გულისხმობს საერთო თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას, რომელშიც გათვლილია ყოველი ნიუანსი





და მაქსიმალურადაა გათვალისწინებული დამკვეთის „ტაბუდადებული“ მოთხოვნები. არქიტექტორ შორენა წილოსანის პროექტით, ერთ-ერთი ელიტარული საცხოვრებელი ინტერიერი განხორციელდა. ნათლად ჩანს, რომ ინტერიერი დახვეწილი, ექსკლუზიური დეკორით გამოირჩევა, რომელიც ვრცელი სივრცის ფუნქციურ ზონირებას „მართავს“. ყოველივე კი, შესაბამისად კომფორტულ, თავისუფალ და თვითმყოფად საცხოვრებელი გარემოს ქმნის.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲚᲘᲫᲔ







# Flawless Design

*Author: Shorena Tsilosani*

Organization of residential space, choice of colors and construction materials, planning of lighting systems, matching of furniture to interior style, selection of accessories - all of these issues should be solved by a designer - an expert capable of offering original ideas and implementing them on a professional level. Flawless design means creation of a harmonious interior space integrated by a general stylistic theme, with all the details carefully considered and the client's demands and "taboos" duly taken into account.

Elite interior design project developed by architect Shorena Tsilosani for an exclusive and distinctive apartment is a perfect sample of successful design with refined style and efficient functional planning. Shorena Tsilosani's design shows all the comfort and elegance with which the interior saturated.

NINO LAGHIDZE

















# გორგიას შოურუმის ინტერიერი

არქიტექტორ რუსუდან თუმანიშვილის იდეით კომპანია „გორგიას“ შოურუმის ინტერიერი შეიქმნა. სივრცის არქიტექტონიკა დახვეწილია და მის აღქმას კომპოზიციისა და პირობითობის სხვადასხვა ხარისხის თანაარსებობა ამძაფრებს. დადებითი „ეკოლოგია“ აქ, მოხვედრისთანავე შეიგრძნობა.

ავტორმა საკუთარი პროფესიული ინტუიციის, არსებულ პირობებთან ადაპტირებით, სახასიათო გარემო შექმნა. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებით არის მიღწეული.

მიუხედავად სტილისტიკური მთლიანობისა, სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. ავტორის ჩანაფიქრის საბოლოოდ სრულყოფისათვის შერჩეულ ნიუანსების ალიანსით, სივრცე ჰარმონიულ მთლიანობად - საინტერესო, ვრცელ დეკორატიულ პანოდ გარდაიქმნა.

ნინო ლაღიძე





















# Interior of Gorgias Showroom

New Interior of Gorgias Showroom according to the ideas by architect Rusudan Tumanishvili.

By adapting his professional intuition to the existing conditions the author succeeded in creating a characteristic environment. The impression of integrity in the interior is achieved due to a consistent compositional solution, subtle variety of decorations with skillfully placed highlights and colors changing from one surface to the other, dialogues of lines and figures and design refrains. In spite of stylistic integrity, every part of this interior retains individual features. Diversity of decoration colors and textures draws attention and varying intensity of lighting highlights the depth of form and color.

Professionalism is always manifested in attention to detail. In this particular interior this can be felt everywhere - in the choice of textures and accessories, in the little details highlighting the author's ideas, the confluence of which makes this space a harmonious integrity - an interesting, vast decorative panneau.

NINO LAGHIDZE





















# ტიფლის ბრანჩის ინტონაციები

– ძველ ქალაქში, სოლოლაკში, კოტე აფხაზის ქუჩაზე №4 მდებარე არტ კაფეს – „ტიფლის ბრანჩის“ გარემო განსაკუთრებული, გამომხატველობით გამოირჩევა და არაორდინალურად ტრანსფორმირდება რეალობაში. მისი ინტერიერი არტ–კაფეს მფლობელების იდეით განხორციელდა. დახვეწილი არქიტექტონიკა, ლამაზი ფურნიტურითა და ფრაგმენტებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებულად მომხიბვლელია. აქ, ყოველივე მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიადაა გარდაქმნილი. დეტალები, დიზაინში მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. საინტერესო მოცულობითი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი ერთიანობის ფერითი გამის გამჭვირვალება დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის წყნარი ტონებითაა აქცენტირებული. აქ სასიამოვნო ურთიერთობებისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი.

არტ კაფე სხვადასხვა მხატვრის გამოფენებს აწყობს და ყოველთვის ულამაზესი ნამუშევრებითაა მორთული. აქ, შესაძლებელია შეიძინოთ ახალგაზრდა დიზაინერების მიერ შექმნილი საიუველირო ნაკეთობები. „ტიფლის ბრანჩში“ ყოველ შაბათ-კვირას იმართება თეატრალური წარმოდგენები, ცეკვის საღამოები და მუდამ ცოცხალი მუსიკა ჟღერს.

ნინო ლაღიძე













# Intonation of Tiflis Brunch

Public space in its present-day interpretation is not just a comfortable interior, but rather an individual entity, featuring a unique atmosphere and merging with the outside world according to its own principles.

The Space of Art-cafe Tiflis Brunch in Old Tbilisi (#4 Kote Abkhazi str., Sololaki), has been created by owner's idea. Its refined architecture and interior design, decorated with beautiful furniture and accessories, have a special charm. Originality and expressivity of design elements integrate the space, in which architectonics and general color palette is highlighted by contrasting tones of furniture and ornaments to form a perfect setting for leisure and relaxation.

NINO LAGHIDZE

# Zen minimalism and Harmony

## EAST MEETS WEST

*Project and Construction by Jonathan Daifuku, chief architect.*
*With the collaboration of Tatia Khutsishvili, architect.*

Technical Data sheet:
Complete refurbishment of a 200m² space in Barcelona
Carpintry: Josep Pladevall
Glass: Berni Vidresss
Electrician: Manuel Maldonado
Painting: David Pla
Plants: Jarclos-collserola
Kitchen Furniture: Doca
Appliances: AEG, Miele.

The design of a unique, individual space, one which reflected my client's personality, interests and desires, a space within which to grow, was the mission that I was entrusted with as an architect. My client is an adept of Zen philosophy and lover of things Japanese. I thus steered my project towards a fusion between Western comfort, the sobriety of a Japanese tea house and the meditative aspect of the Ryonaji stone gardens.

Upon entering, one leaves street shoes on a carpet of tiles, the equivalent of the traditional "genkan" of the Japanese house. To the right one gets a glimpse of the living room, and on the left, private areas such as the bedrooms and washrooms. Simple, orderly, open spaces without visual noise; meditative ones. The floor is solid bamboo finished with ultra-matte varnish "velvet" that is soft to the touch. Only separated by glass panels, the kitchen is the extension of the living room and the breakfast in the kitchen is accompanied by the view of over the living room, and beyond, the of the garden's leafy trees. The notion of what is inside and outside is blurred, the living room's ultra thin frame windows traverse the stone garden which begins inside and continues on the terrace, a transition without a break. Light plays with the shadows daytime, while at night the garden acquires a magical dimension.



**Living Room:**
A space in harmony with nature, which changes with the seasons and the time of day. Chairs and sofa of the Moov collection by Cassina, the rug by Nani Marquina. Library cabinet designed by Daifuku.




**Dining Room:**
A quiet location, halfway between the kitchen and the living area beyond. H_T Poltrona Frau table. Acrylic chairs by Squadra Interiors. Hanging Galileo lamps by Lumina.

**Kitchen:**
A multipurpose zone which serves both to prepare food and enjoy it, the space is also used to display a collection of Japanese tea cups. Lio stools by Zanotta, kitchen furniture by Doca, Corian kitchen tops, porcelain tile flooring. Adjustable hanging Airo LED lamps made by Carpyen and designed by Daifuku.








**Master bedroom and terrace:** An austere space, of simple lines, where the most important visual element is the cypress standing beyond the small terrace fitted with a Japanese stone lantern.



**Main Terrace:**
A transitional element between interior and exterior, a close-up of nature that begins in the living room and extends beyond to the garden's treetops. Large, granite river stones finish the composition. Table and bench of Ipe wood. Garden designed by Daifuku.





**Main bedroom**





**Main bathroom:**
A place that accommodates opposing activities: the morning's wakening and bedtime. The reflection of opposites was reflected in the choice of stoneware: orthogonal, black textured tiles from the Déchirer collection by Mutina contrast with large off-white pieces on the rest of the wall. Natural stone sink by Evoluzione on a Corian top.





**Lobby:**
A transitional meditative space. A carpet of tiles at the entrance for changing shoes. A space designed to reset one's mind. Lamp by Miguel Mila. Solid pine bench designed by Daifuku.







**Son's Room**
A place to be comfortable where it when he drops by for a visit. A semi-independent area of the home equipped with its own desk and library and overlooking the garden. The bed is by Divani.

**Guest Bathroom:**
A shared space, finished in off-white, a bathroom classic color. Sequenze Towel radiator by Irsap, Element WC by Roca.





Before

Process



Where the terrace widens, a space was created to enjoy a cup of green tea seated on a group of furniture made of tropical wood. In the lounge we find Western comfort: sofas and couches by Cassina where you can chat or watch a 55" TV unveiled by sliding a panel in the library. In winter monhts a log fire will warm the space with a STÜV stove which swivels 360° so the beauty of the flames can be enjoyed from the dining room, living room or the kitchen.

The flat has few doors and these are floor to ceiling, more akin to sliding panels than "doors" and finished with carved black oak wood. A diagonal wall defines the layout of master bedroom; from the bed one views a small Japanese garden with a traditional stone lamp and beyond, a centuries-old cypress. A circular rice paper window links the bedroom and bathroom. The latter, like the guest bathroom, is equipped with low intensity lighting fixtures that illuminate one's path and a generous light when it comes to the mirror. Down the hall, we find the second bedroom with a view over the garden.

PHOTOS: MARC SOLER & TATIA KHUTSISHVILI



Before



After

ვერნისაჟი
VERNISAGE

# დიზაინის ფაკულტეტის მიმართულებები თბილისის სამხატვრო აკადემიაში



მივესალმებით ჟურნალ “STYLE “-ის მკითხველს და სიამოვნებით მოგახსენებთ, რომ დღევანდელ ნომერში თბილისის სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის მიმართულებების საქმიანობის შესახებ გვესაუბრება ხის მხატვრული დამუშავების მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი თემურ სარიშვილი.

- ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის დიზაინის მიმართულება მრავალი წელია ფუნქციონირებს სამხატვრო აკადემიაში. ჩვენი მიმართულება დაარსდა 1961 წელს. არსებობის 54 წლის განმავლობაში მიმართულებამ გამოუშვა 350 დარგის სპეციალისტი.

**ბ. თემურ, რა ტიპის ტექნოლოგიები ისწავლება მიმართულებაზე?**

საშემსრულებლო ტექნოლოგიებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხეზე კვეთას, ხეზე კვეთის სხვადასხვა სახეობების შესწავლას, ასევე გამორჩეულად ყურადღება ექცევა მოზაიკური ტექნოლოგიების შესწავლას, სახარატო დაზგასთან მუშაობას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროექტირებას, კონსტრუირებას და ტექნოლოგიის შესწავლას.















**ბ. თემურ, როგორია თქვენი კურსადამთავრებულების პერსპექტივა?**

დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სტუდენტებს ვაძლევთ შესაძლებლობას დასაქმდნენ უახლესი და მაღალტექნოლოგიური ავეჯის საწარმოებში, მიიღონ მონაწილეობა მათთვის საინტერესო სხვადასხვა პროექტებში. ვაპირებთ კიდევ უფრო გავააქტიუროთ თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთან.

**ბ. თემურ, როგორია ახლა მიმართულებაზე არსებული მდგომარეობა?**

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ჩვენს მიმართულებაზე შეიქმნა ორი ახალი ლაბორატორია: ექსპერიმენტალური და სამაკეტო. სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა გამოფენებში, ვორქშოპებში. კონკურსებში, ფესტივალებში.

1. ქ.მცხეთა - ხალხური რეწვის ფესტივალი 2010 წ. 2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტი - „ილუსტრირებული კატალოგი“ , „სუვენირები საქართველოდან“ ; 3. „ექსპოჯორჯია“ -დიზაინის საერთაშორისო გამოფენა. 2010 წ.; 4. „ექსპოჯორჯია“ - დიზაინის საერთაშორისო გამოფენა. 2011 წ.; 5. მხატვართა კავშირი - საგაზაფხულო გამოფენა. 2011 წ.; 6. „ექსპოჯორჯია“ - ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი. 2015წ.; 7. სააავეჯო კომპანია „კარე“ - ს კონკურსი - სტუდენტებს გადაეცათ სპეციალური სერთიფიკატები. 2015 წ.







მასალა მოამზადა თსსა-ს დიზაინის ფაკულტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ნინო მგალობლიშვილმა







# 80-იანები



12.07.2015 გალერეა „ვერნისაჟში“ (თბილისი. კ. აფხაზის ქ. 49) გაიხსნა გიორგი ყვავილაშვილის ფოტო გამოფენა „80- იანები“ გამოფენა გაგრძელდა 21 ივლისის ჩათვლით.

ექსპოზიცია საოცარ გრძნობას ტოვებს, თითქოს ძველი დრო გაცოცხლდა– ძველი, ცოტათი სევდიანი და მაინც თავისებურად ლამაზი დრო– ბევრი აქ ტკივილი და სევდაა. ეს ჩვენი ცხოვრების ფოტოებია.

კედლებიდან ჩვენი უახლოესი წარსული შემოგვცქერის, რაც, ზოგს სევდას გვრის, ზოგს სინანულს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ფოტოების ხილვისას, სულში სითბო იღვრება და ეს უკვე – არაჩვეულებრივია.












გიორგი ყვავილაშვილი დაიბადა. 29.11.1960წ; 1983წ. - დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1984წ. - დაამთავრა თსუ-თან არსებული მეორადი კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. 1984-87წწ. - სამთო-სათხილამურო სკოლა. 1987-89წწ. - მეცნიერებათა აკადემიის ჰოლოგრაფიის ლაბორატორია. 1989-90წწ. - რეჟისორის ასისტენტი. 1990-2014 წწ. - ბიზნესკომპანიის დამფუძნებელი და გენ. მენეჯერი. ჰყავს მეუღლე და 4 შვილი. პირველი პერსონალური ფოტო გამოფენა - გალერეა "ვერნისაჟი", 12.07.2015.

# "ჩემი სულის ფერები..."



2015 წლის 5 ივნისს, „აჰუნდოვ ჰაუსის“ არტ გალერეაში, თვითნასწავლი მხატვრის, რუსუდან ზვიადაძის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე, სახელწოდებით – „ ჩემი სულის ფერები ...“ – წარმოდგენილი იქნა მხატვრის ბოლო შვიდი თვის განმავლობაში შექმნილი 37 ნამუშევარი. მათ შორის: პორტრეტები, პეიზაჟები და რამდენიმე ნატურმორტიც. ექსპოზიციას ქმნიდა ნამუშევართა საინტერესო კომპოზიციები მრავალფეროვანი ფერთა გამით. გამოფენამ მრავალრიცხოვან მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა

„მე ვთვლიდი, რომ პერსონალური გამოფენისთვის მზად არ ვიყავი, თუმცა, უფრო ადრე, საერთაშორისო გამოფენაზე ვიყავი მიწვეული, პარიზში, სამხატვრო აკადემიის პროფესიონალ მხატვრებთან ერთად, საიდანაც ძალიან დიდი ემოციებით და შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. პარიზიდან გამომყვა მუზაც, რომელიც ძალიან ბევრი ნახატის საფუძველი გახდა. ჩემი მეგობრების და „სოკარის“ ჯგუფის წარმომადგენლების თხოვნით, გადავწყვიტე, პერსონალური გამოფენის მოწყობით, მნახველამდე მივიტანო სათქმელი. მინდა ყველას გავუზიარო ის სიხარული და პოზიტიური ენერგია, რაც ჩემი ნამუშევრებიდან მოდის. ეს გამოფენა, ჩემთვის, დიდი სტიმული და მოტივაცია იქნება, რომ გავაგრძელო მუშაობა, ხელოვანი ადამიანისთვის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი დაფასება – საზოგადოების სითბო და სიყვარულია“, – ამბობს რუსუდან ზვიადაძე. გამოფენა 9 ივნისამდე გაგრძელდა.











# ”THE COLORS OF MY SOUL...”

05.06.2015 in the Art Gallery AKHUNDOV HOUSE (17, V. Gorgasali St. Tbilisi) opened Self-taught artist’s - RUSUDAN ZVIADADZE’s - solo exhibition - ”THE COLORS OF MY SOUL...” The exposition of exhibition Aroused The public interest. Exhibition display extended including 9.09.2015.









# გაზაფხული 2015





საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, 2015 წ. 24 აპრილს გაიხსნა გამოფენა, სახელწოდებით: „გაზაფხული 2015", სადაც გამოფენილი იყო 60 მხატვრის ნამუშევარი. გამოფენა-გაყიდვამ 1 მაისამდე გასტანა. გამოფენა, რომელიც მხატვრების - გელა კენჭუაშვილის, თეიმურაზ დვალიშვილის და გია მარკოზაშვილის ორგანიზატორობით ჩატარდა, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, ასევე, ის, რომ ორგანიზატორების თაოსნობით გამოიცა გამოფენის ამსახველი კატალოგი, სადაც თავმოყრილია მასში მონაწილე მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრები. კატალოგი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით და დახვეწილ დიზაინით გამოირჩევა. ამგვარ გამოფენა-გაყიდვას, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მცხოვრები მხატვრები, ორგანიზატორების თოსნობით და ძალისხმევით, წელიწადში ორჯერ აწყობენ – შემოდგომასა და გაზაფხულზე. ასე, რომ, საგაზაფხულო გამოფენის დახურვისთანავე, დაიწყება მზადება ახალი გამოფენისთვის - საშემოდგომოდ. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს არტისტებს შემოქმედებით საქმიანობაში.



ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ



ᲨᲝᲗᲐ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ. ᲜᲐᲜᲘᲙᲝ

















მედეა კანჭაველი. ცალთვალა მეომარი



გია ბარკოზაშვილი. ოჯახი



თინათინ მირცხულავა. ძველი თბილისი



ანა ლაღიძე. გვირილა

# "ტრიალოგი" - საუბარი სამს შორის

Masholand-ის პირველი ფერწერული გამოფენა „ტრიალოგი“, რომელიც ჩატარდა იმავე სახელოსნოში, სადაც გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები იქმნებოდა.

გამოფენის თავდაპირველი იდეა პორტრეტებს შორის დიალოგი იყო, თუმცა როცა Masholand-ის ნამუშევრები იქმნებოდა, აღმოჩნდა, რომ როგორც წონასწორობისთვის სამი წერტილია საჭირო, ისევე ითხოვდა ყოველი წყვილი მესამე თანამოსაუბრეს. ასე გაჩნდა Masholand-ში ტრიალოგები.

გამოფენა არის ერთ-ერთი ნაწილი იმ პროექტისა, რომელიც Masholand-ის მიერ მსოფლიოს სამ სხვადასხვა ქვეყანაში იქნება განხორციელებული. „ტრიალოგზე“ წარმოდგენილია ტილოსა და ქაღალდზე ნახატი თორმეტი პორტრეტი და სამი ნატურმორტი.

ფოტო - თაკო კალანდაძე











Masho Margishvili

მაშო მარგიშვილი












# Trialogue - Conversation of Three

Masholand's first solo exhibition which was held in the same workshop where the paintings were created.

The initial concept of the exhibition was to generate a dialogue between portraits. But while the portraits were being created, it appeared that each couple needed the third member as three points are required for balance. This is how "Trialogue" appeared in Masholand.

The show is a part of a three-piece project, which is planned to be executed in three different countries. "Trialogue" presents nine portraits and three still lifes.

ინფორმაცია

INFORMATION

# არქიტექტურული მომსახურების ღირებულება



არქიტექტორ მიშა ბალიაშვილის და „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ ინიციატივით დაისვა საკითხი შემუშავდეს საპროექტო ღირებულების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ ჩვენ, არქიტექტორები და პოტენციური დამკვეთები, როგორც კერძო სექტორიდან, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებიდან.

ანალოგიური დოკუმენტი არსებობს ყველა განვითარებულ ქვეყანაში და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

მოგახსენებთ, რომ დღესდღეობით საქართველოში არ გამოიყენება არანაირი მექანიზმი საპროექტო ღირებულების განსაზღვრისათვის. შედეგად ვიღებთ, იმას რომ, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე, კერძო ინვესტორები სამშენებლო ბიუჯეტის განსაზღვრისას თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრავენ საპროექტო ღირებულებას. ძირითად შემთხვევებში, ეს ღირებულება, იმდენად დაბალია, რომ პროფესიონალები, რომლებმაც იციან თავისი შრომის ფასი, არ ღებულობენ მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და ამ ტენდერების შედეგად სახელმწიფო იღებს არაპროფესიონალების მიერ შესრულებულ, დაბალი ხარისხის საპროექტო დოკუმენტაციას.

გამომდინარე, აქედან, აუცილებლად და გადაუდებლად მიგვაჩნია სახელწიფომ მიიღოს საპროექტო ღირებულების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც იქნება სახელმძღვანელო ყველა სახელმწიფო ორგანიზაციისთვის ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ, საქართველოში 1997 წელს, ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა ”მშენებლობის საპროექტო ფასთა კრებული” (ბრძანება 35, 13.05.1997). მართალია, ზემოთ ხსენებულ დოკუმენტს გააჩნია გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები, თუმცა ის წარმოადგენს ერთადერთ იურიდიული ძალის მქონდე დოკუმენტს, რისი მიხედვითაც სახელმწიფომ შესაძლოა იხელმძღვანელოს საპროექტო ღირებულების განსაზღვრისას. აქვე, უნდა ავღნიშნოთ, რომ 1997 წლის მერე, არ გამოსულა, არც ერთი ბრძანება ზემოთ ხსენებული დოკუმენტის გაუქმების შესახებ. ასევე, შესაძლებელია, რომელიმე განვითარებული ქვეყნის ანალოგიური დოკუმენტაციის ან RIBA-ს დოკუმენტაციის გამოყენება.

ყველა ზემოთ ხსენებული დოკუმენტი გულისხმობს საპროექტო ღირებულების განსაზღვრას. სამშენებლო ბიუჯეტიდან გამომდინარე და სხვადასხვა სირთულის და მოცულობის შემთხვევაში, პროცენტული ღირებულება განსხვავებულია.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

**I ეტაპზე** – სახელმწიფომ განაახლოს ”მშენებლობის საპროექტო ფასთა კრებულით” სარგებლობა და სატენდერო საპროექტო ღირებულება განისაზღვროს ამ დოკუმენტზე დაყრდნობით;

**II ეტაპზე** – ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება, რომლითაც ზემოთ ხსენებული დოკუმენტის გაუმჯობესებული ვარიანტი, რითიც უნდა შეიცვალოს არსებული დოკუმენტი.

საკითხის გადასაჭრელად მიმდინარეობს მუშაობა. შედგა არქიტექტორთა შეხვედრები. შეხვედრებს, არქიტექტორების გარდა, ესწრებოდნენ ამ საკითხით დაინტერესებული სხვა სპეციალისტები – იურისტები, ეკონომისტები. განხილული იქნა დღემდე ხელთ არსებული ფასთა კრებული და ანალოგიური უცხოური დოკუმენტაცია. შეხვედრებზე დეტალურად დაიგეგმა თუ როგორ მივიღოთ დოკუმენტი. ჩატარებული მუშაობის შედეგად შედგენილი იქნა მიმართვა/წინადადებები ეკონომიკის სამინისტროში წარსადგენად.

AAG
Association of Architects of Georgia
საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია












სიამოვნებით გასავლელი გზა
GE
FM-95.1

# ორი უდიდესი გამოფენა ერთდროულად

## ინდუსტრიის ყველაზე განსაკუთრებული მოვლენა წელს

## არ გაუშვა შანსი ხელიდან

# გამოჩნდი, რომ დაგინახონ!

**CAUCASUS BUILD 2015 – FALL EDITION**

მშენებლობისა და ინტერიერის მე-20 საერთაშორისო გამოფენა

**AQUA-THERM TBILISI 2015**

გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონირების, წყალმომარაგების, სანიტარიისა და აუზების მოწყობის საერთაშორისო გამოფენა

## 1–3 ოქტომბერი, 2015
## თბილისი, საქართველო

ორგანიზატორი:
Exhibition Center ExpoGeorgia Co
www.expogeorgia.ge; www.aquatherm.ge
+995 234 11 00 (121)
kakulia@expogeorgia.ge